საქართველოში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის ანალიზი

კვლევა ჩატარდა მკვლევართა საინიციატივო ჯგუფის მიერ:
ნანა ჭაბუკიანი, გვანცა ჯიბლაძე, ნათია უბილავა

კვლევა დაფინანსებულია „ქალთა ფონდი საქართველოში“-ს მიერ

ქალთა ფონდი საქართველოში
WOMENS'S FUND IN GEORGIA

თბილისი
2014

საქართველოში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის ანალიზი

კვლევა ჩატარდა მკვლევართა საინიციატივო ჯგუფის მიერ:
ნანა ჭაბუკიანი, გვანცა ჯიბლაძე, ნათია უბილავა

კვლევა დაფინანსებულია „ქალთა ფონდი საქართველოში“-ს მიერ

ქალთა ფონდი საქართველოში
WOMEN' S FUND IN GEORGIA

თბილისი
2014

კვლევა ჩატარდა „ქალთა ფონდი საქართველოში-ს" მხარდაჭერით. ქალთა ფონ-დის მისიაა ქალთა გაძლიერება საქართველოში ქალთა უფლებების განხორციელე-ბის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი სრულფასოვანი მონაწილეობისა და თვით-რეალიზაციისთვის, ფინანსური და ტექნიკური დახმარების, უნარების განვითარებისა და ფემინისტური ფილანთროპიის ჩამოყალიბების ხელშეწყობის გზით.

კვლევითი ჯგუფი მადლობას უხდის ქალთა ფონდს კვლევის ჩატარებისა და მისი შედე-გების სხვადასხვა კონფერენციებზე წარდგენის საშუალებისათვის. კვლევის ფარგლებში გაწეული დახმარებისა და რეკომენდაციებისათვის განსაკუთრებული მადლობა გვსურს გადავუხადოთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ნინო ჯავახიშვილსა და ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის პროფესორ ანდრეა კრიჟანს. ჩვენ ასევე გვსურს მადლობა გადავუხადოთ საქართველოს პარლამენტს მოწოდებული მასალებისათვის და ყველა იმ პირს, ვინც წვლილი შეიტანა პროექტის განხორციელებაში.

ავტორების შესახებ

ნანა ჭაბუკიანი

2009 წელს დამთავრა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სოციოლოგიის მიმართულებით. 2011 წელს მიიღო მაგისტრის ხარისხი სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდებში, ხოლო 2013 წელს - სოციოლოგიასა და სოციალურ ანთროპოლოგიაში, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში. 2009-2012 წლებში იგი ჩართული იყო სხვადასხვა კვლევით პროექტებში, მათ შორის: „ოჯახში ძალადობასთან ბრძოლა საქართველოში. ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევა: ადგილობრივი თუ დასავლური დღის წესრიგი?“ აღნიშნული კვლევა ეხებოდა ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობას. ამჟამად იგი მუშაობს რელიგიური უმცირესობების საჭიროებების კვლევაზე.

chabukiani.nana@gmail.com

გვანცა ჯიბლაძე

2010 წელს დამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფსიქოლოგიის მიმართულებით. 2012 წელს მიიღო მაგისტრის ხარისხი სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდებში. ამავე პერიოდში იგი ჩართულ იყო სხვადასხვა კვლევებში, მათ შორის გენდერის, ოჯახში ძალადობის პრობლემებისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის ანალიზის შესახებ. თანამშრომლობდა შვეიცარიის აკადემიურ ქსელთან და დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტთან.მონაწილეობდა სოციალური მეცნიერებების ცენტრის მიერ ორგანიზებულ გენდერის კვლევების მე-4 და მე-5 წლიურ კონფერენციებზე. ამჟამად იგი აგრძელებს მუშაობას აღნიშნულ საკითხებზე.

jibladzegv@gmail.com

ნათია უბილავა

2009 წელს დაამთავრა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფსიქოლოგიის მიმართულებით. 2011 წელს მიიღო მაგისტრის ხარისხი სოციალურ ფსიქოლოგიაში. სწავლის პარალელურად ჩართული იყო საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ განხორციელებულ კვლევით პროექტებში, რომლის ფარგლებში თანამშრომლობდა კავკასიის შვეიცარიის აკადემიურ ქსელთან და ჯონს ჰოპკინსის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სკოლასთან. ამჟამად, საერთაშორისო ორგანიზაციაში აგრძელებს კვლევით საქმიანობას.

ubilavanatia@gmail.com

შინაარსი

აბსტრაქტი 5
Abstract 6
პრობლემა 7
დოკუმენტების მიმოხილვა 11
    კვლევების მიმოხილვა 16
მეთოდოლოგია 17
    კვლევის ინსტრუმენტი 21
    შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით
    გაანალიზებული დოკუმენტების ჩამონათვალი: 23
შედეგების ინტერპრეტაცია და ანალიზი 26
    1. სახელმწიფოს ხედვა ოჯახში ძალადობის
    პრობლემაზე პოლიტიკის ჩარჩოების მიხედვით 26
        1.1. რა არის ოჯახში ძალადობა და ვინ არის
        მსხვერპლი (დიაგნოზი) 27
        1.2. ოჯახში ძალადობის პრობლემის მიზეზები
        და პრობლემის მოგვარების გზები (პროგნოზი) 30
        1.3. სოციალური ჯგუფების ურთიერთკვეთა
        (Intersectionality) 32
    2. პოლიტიკის ცვლილებების დინამიკა პოლიტიკის
    ჩარჩოების ანალიზის მიხედვით 34
    3. გენდერული თანასწორობის კანონის ანალიზი 38
დასკვნა 42
კვლევის შეზღუდვები 44
რეკომენდაციები 44
გამოყენებული ლიტერატურა 46
დანართი №1 47
დანართი №2 52

აბსტრაქტი

ოჯახში ძალადობის პრობლემის მოსაგვარებლად, საქართველოს მთავრობამ 2006 წელს მიიღო კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს ძალადობის მსხვერპლთა კანონიერ დაცვასა და მოძალადეთა იზოლირება/დასჯას. სახელმწიფოს პოლიტიკის წარმატება პრობლემის დაძლევისას დიდწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ხედავს სახელწიფო პრობლემას და რას მიიჩნევს მისი გადაჭრის გზად. აქედან გამომდინარე, კვლევის მიზანს წარმოადგენდა ოჯახში ძალადობის პრობლემის ხედვის გაანალიზება სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე. პროექტის ფარგლებში, თვისებრივი მეთოდის – პოლიტიკის ჩარჩოს ანალიზის გამოყენებით, გაანალიზდა სახელმწიფო დონეზე შემუშავებული დოკუმენტები და ნორმატიული აქტები. კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოს ოჯახში ძალადობის პოლიტიკა თავსდება ე.წ. დე–გენდერულ ჩარჩოში, რომლის მიხედვითაც, ოჯახში ძალადობა არ განიხილება გენდერული თანასწორობის ტერმინებში, არამედ, განიხილება ინდივიდუალური უფლებების დონეზე და მიიჩნევა, რომ ოჯახში ძალადობა არის ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის უფლებების შელახვა.

საკვანძო სიტყვები: ოჯახში ძალადობა; კანონმდებლობა; პოლიტიკა; გენდერული უთანასწორობა; პოლიტიკის ანალიზის ჩარჩო (Policy Frame Analyses); გენდერული თანასწორობის კონტინიუმი, სიღრმისეული თვისებრივი ანალიზი.

Abstract

The law on prevention of domestic violence, protection and assistance of victims of domestic violence was adopted in 2006 in Georgia, in order to overcome the problem of domestic violence in Georgia. The success of the state policy in combating the domestic violence depends on the way the state perceives the problem and the ways to overcome it. Consequently, the aim of the research was to analyze the way the government perceives the problem of domestic violence. The policy documents such as laws and normative acts were analyzed using the methodology of Critical Policy Analysis Frame. According to the research findings, the de-gendered frame is dominated in anti-domestic violence policy. According to this frame violence isn't discussed in terms of gender equality and it is considered to be an issue of individual rights.

Key words: domestic violence, the law, policy, gender inequality, critical policy analyses frame, gender equality continuum, in-depth qualitative analyses.

პრობლემა

ოჯახში ძალადობა ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა მსოფლიოში. ეს უნივერსალური მოვლენაა, რომელიც შესაძლებელია შეეხოს საზოგადოების ნებისმიერ წევრს, მიუხედავად მისი რასობრივი, სოციალური, თუ კულტურული კუთვნილებისა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალთა მიმართ ძალადობა, რადგან ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ყველაზე ხშირად არის სწორედ ქალი (ევროსაბჭოს კონვენცია, 2011).გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, ქალთა დაახლოებით 70% განიცდის ძალადობას ცხოვრების მანძილზე. მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით კი, 15-44 წლამდე ასაკის ქალები უფრო მეტად ოჯახში ძალადობის რისკის ქვეშ არიან, ვიდრე კიბოს, ავტოკატასტროფების, ომის ან მალარიის შემთხვევების[1]. აღნიშნული მონაცემები ადასტურებს რომ ძალადობის შედეგად ილახება ქალთა უფლებები, მათი სოციალური ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მათი ეკონომიკური, თუ სოციალური კეთილდღეობა საფრთხის ქვეშ დგება.

UNICEF-ის მიერ 2012 წელს ჩატარებული კვლევა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ოჯახში ძალადობის კომპლექსურობას. კვლევის შედეგების მიხედვით, ოჯახში ძალადობა ციკლური პროცესია და აძლიერებს თაობებს შორის ძალადობის ფაქტებსაც. ძალადობა ნორმაა, რომელიც ხელს უშლის ინდივიდის განვითარებასა და პროგრესული საზოგადოებისათვის არ ქმნის შესაბამის პირობებს.

საერთაშორისო დონეზე ოჯახში ძალადობის თემა განსაკუთრებით აქტუალური მე-20 საუკუნის ბოლოდან გახდა. 90-იანი წლებიდან საერთაშორისო უწყებებმა აქტიურად დაიწყეს ოჯახში ძალადობის, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ პერიოდში, ოჯახში ძალადობის პრობლემამ ოჯახური სფეროდან გადაინაცვლა საზოგადოებრივი პრობლემის დონეზე: თუ აქამდე ითვლებოდა, რომ ოჯახში ძალადობა, მხოლოდ ამა თუ

1 UN Department of Public Information, 2009

იმ კონკრეტული ოჯახის პრობლემაა, ახლა იგი მიიჩნევა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ პრობლემად, რომლის გადაწყვეტაც სახელმწიფო დონეზე უნდა მოხდეს.

ყოველივე ზევით აღნიშნული მიუთითებს ოჯახში ძალადობის პრობლემის უნივერსალურობასა და აქტუალურობაზე. მე-20 საუკუნის ბოლოდან საგრძნობი ცვლილებები შეინიშნა სახელმწიფო პოლიტიკის დონეზეც. 2003 წელს მხოლოდ 45 ქვეყანას ჰქონდა კანონი ოჯახში ძალადობის შესახებ, 2006 წლისთვის კი, ეს რიცხვი 60-მდე გაიზარდა (საბედაშვილი, 2011). 2011 წლის მონაცემებით, კი მსოფლიოს 196 ქვეყნიდან ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კანონი 126 ქვეყანას აქვს[2].

ოჯახში ძალადობის პრობლემა დღეს-დღეობით მწვავედ დგას საქართველოშიც. კულტურაში, სადაც მამაკაცს დომინანტური როლი უჭირავს, ხშირია ქალთა როლის დაკნინებისა და მათი დისკრიმინაციის ფაქტები. საქართველოში ჩატარებული ბოლო დროინდელი კვლევები გვიჩვენებს, რომ ოჯახში ძალადობა საზოგადოებაში ღრმად არის ფესვგადგმული. შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) სტატისტიკის მიხედვით[3], 2007-2012 წლებში დაფიქსირდა ძალადობის 1360 შემთხვევა. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით[4], 2012 წელს ოფიციალურად დაფიქსირდა 308 მსხვერპლი ქალი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ოფიციალური მონაცემები მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს, ვინაიდან სამთავრობო უწყებებისთვის მიმართვიანობის მაჩვენებელი ძალიან დაბალია (ჩიტაშვილი და სხვები, 2010). მაგალითად, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით, 2010 წელს ოფიციალურად 166 მსხვერპლი ქალი დაფიქსირდა, მაშინ როდესაც,ამავე წელს UNFPA-ის დაფინანსებით მთელი ქვეყ-

2 UN Women, Progress of the World's Women: In Pursuit of Justice, 2011

3 http://police.ge/files/pdf/statistika%20da%20kvlevebi/geo/sxvadasxva%20statistika/ojax-uri_dzaladoba-saboloo%281%29.pdf

4 http://91.208.144.188/Selection.aspx?rxid=c8ca81e9-2824-4c5b-a46a-c80202913531&px_db=Database&px_type=PX&px_language=en&px_tableid=Database%5cSocial+Statictics%5cJustice%5cData_on_dv_by_sex.px

ნის მასშტაბით ჩატარებული კვლევის – „ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში“ მიხედვით, ყოველი მეთერთმეტე დაოჯახებული ქალი არის ოჯახში ძალადობის მსხვერპლი. ძალადობის მსხვერპლ რესპონდენტთაგან 34.7% ყოფილა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი, ხოლო 35.9%-ის მიხედვით, მათი მეუღლეები აკონტროლებენ მათ საქმიანობას (ჩიტაშვილი და სხვები, 2010).

ამავე კვლევის მიხედვით, რესპონდენტთა 78% თვლის, რომ ოჯახში ძალადობა ოჯახის პრობლემად უნდა დარჩეს და ოჯახის ფარგლებშივე მოგვარდეს. შესაბამისად, რესპონდენტების მხოლოდ 1,2%-ს მიუმართავს სახელმწიფო უწყებებისთვის (პოლიცია, საავადმყოფო, სასამართლო) ძალადობის შემთხვევაში (ჩიტაშვილი და სხვები, 2010).

პრობლემის ეფექტურად დაძლევისათვის, საქართველოს პარლამენტმა 2006 წელს მიიღო კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს ძალადობის მსხვერპლთა კანონიერ დაცვასა და მოძალადეთა დასჯას. ზემოთ აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, „ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით, ან იძულებით” (საქართველოს ნორმატიული აქტების კრებული, 2010). აღნიშნული კანონის ფარგლებში სისხლის სამართლებრივი, სამოქალაქო სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმების საშუალებით ხდება ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოვლენა და მათი აღკვეთა. კანონის ფარგლებში შემუშავდა ასევე დამცავი და შემაკავებელი ორდერები, რომლებიც ერთი მხრივ, იცავს მსხვერპლს, ხოლო მეორე მხრივ, ზღუდავს მოძალადის გარკვეულ ქმედებებს (საქართველოს ნორმატიული აქტების კრებული, 2010).

კანონი, რასაკვირველია, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ქვეყნის რეალობაში პრობლემის აღმოსაფხვრელად. კანონის მიღე-

ბით, სახელმწიფო აღიარებს არსებულ პრობლემას და მის დასაძ-ლევად განსაზღვრულ პოლიტიკას იმუშავებს. თუმცა, ხშირად მხოლოდ კანონის მიღებით პრობლემის მოგვარება ვერ ხერხდება. 2011 წელს ჩატარებულმა ოჯახში ძალადობის პრობლემებზე მომუშავე სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების კვ-ლევამ ცხადჰყო, რომ სახელმწიფო და არასამთავრობო უწყებები წარმატებით ვერ უმკლავდება ოჯახში ძალადობის პრობლემას (ჯავა-ხიშვილი, წულაძე, 2011).

სახელმწიფოს პოლიტიკის წარმატება დიდწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ხედავს სახელწიფო ოჯახში ძალადობის პრობლემას, რას მიიჩნევს მის გამომწვევ მიზეზად და რა გზებით ებრძვის მას. ევროპის კონვენციის მიხედვით, ოჯახში ძალადობის მიზეზი არის სა-ზოგადოების სტრუქტურაში არსებული გენდერული უთანასწორობა – კერძოდ, ქალის დაქვემდებარებული როლი საზოგადოებაში.შესა-ბამისად, ძალადობის მსხვერპლი ყველაზე ხშირად არის ქალი. კო-ნვენციის მიხედვით, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალა-დობის წინააღმდეგ ბრძოლისას მნიშვნელოვანია გაცნობიერდეს, რომ ძალადობა არის ქალთა და მამაკაცთა შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული უთანასწორობის გამოვლინება (ევროსაბჭოს კონ-ვენცია, 2011).

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, გაანალიზდეს პოლიტიკა იმის გამო-სავლენად, თუ როგორ ხედავს სახელმწიფო ოჯახში ძალადობას, რას მიიჩნევს მის გამომწვევ პრობლემად და შესაბამისად, როგორ ესახება მისი დაძლევის გზები.

კვლევაში თავდაპირველად, წარმოდგენილია ოჯახში ძალადობისა და გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებული კვლე-ვების, ასევე საერთაშორისო და საქართველოს დოკუმენტების მიმო-ხილვა. შემდეგ, აღწერილია გამოყენებული მეთოდოლოგია და წარმოდგენილია ძირითადი შედეგები, რომელზე დაყრდნობითაც შე-მუშავებულია რეკომენდაციები.

დოკუმენტების მიმოხილვა

მსოფლიო მასშტაბით საერთაშორისო უწყებების მიერ მუშავდება სხვადასხვა სტრატეგიები და ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც მიმართულია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისკენ. ყველა საერთაშორისო დონეზე აღიარებული დოკუმენტი, როგორიცაა, 1989 წელს გაეროს მიერ შემუშავებული ანგარიში ოჯახში ძალადობის შესახებ, „ქალთა მიმართ ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ“ (CEDAW) კონვენცია, ასევე, გაეროს გენერალური ასამბლეის „დეკლარაცია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ (DEVAW) აღიარებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა არის ქალსა და მამაკაცს შორის არსებული უთანასწორობის შედეგი.

2011 წლის 7 აპრილს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“, რომელსაც 2011 წლის 11 მაისს სტამბულში მოეწერა ხელი. ევროსაბჭოს კონვენცია არის ევროპაში პირველი ლეგალურად მავალდებულებელი დოკუმენტი, რომელიც მიმართულია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის დაძლევისკენ. მისი მიღება მოჰყვა ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში ჩატარებულ კამპანიას, რომელმაც გამოავლინა, რომ საჭირო იყო საერთაშორისო სტანდარტების შექმნა სახელმწიფო დონეზე ძალადობის დაძლევისა და მსხვერპლთა დაცვისათვის შესაბამისი აქტივობების განსახორციელებლად.

კონვენციის მიხედვით, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად მნიშვნელოვანია ქალისა და მამაკაცის თანასწორობის დე იურე და დე ფაქტო აღიარება. ამასთან, „გაცნობიერება იმისა, რომ ქალთა მიმართ ძალადობა არის გენდერული ძალადობა და რომ ეს არის ერთ-ერთი წამყვანი სოციალური მექანიზმი, რომელიც აიძულებს ქალებს დაიკავონ მამაკაცებთან შედარებით სუბორდინირებული მდგომარეობა“ (ევროსაბჭოს კონვენცია, 2011). გარდა ამისა, საჭიროა აღიარება იმისა, რომ ქალები და ბავ-

შვები მეტი ალბათობით ხდებიან ძალადობის მსხვერპლები. ასევე, მამაკაცებიც შესაძლებელია, რომ იყვნენ ოჯახში ძალადობის მსხვერ-პლნი, ხოლო ბავშვები ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან მაშინაც, როცა ისინი უბრალოდ ძალადობის სცენის მხილველები არიან. აქე-დან გამომდინარე, კონვენციის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს ქალთა მიმართ ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციის შემცირებას; უზრუნ-ველყოს ქალისა და მამაკაცის თანასწორობა და ქალთა გაძლიერება.

ევროპის კონვენციის ფარგლებში შემუშავდა ოჯახში ძალადობის გან-საზღვრებაც, რომლის მიხედვით, ოჯახში ძალადობა გულისხმობს ფიზიკურ, სექსუალურ, ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ ძალადობას, რომელიც ხდება ოჯახში, ან ოჯახურ ერთეულში ყოფილ, ან ამჟამინდელ წყვილს, ან პარტნიორებს შორის, იმის მიუხედავად, ცხოვრობს თუ არა წყვილი ერთად (ევროსაბჭო, 2011). გამოიყო ძალადობის სხვადასხვა სახეები: ფიზიკური, ფსიქოლოგიური, იძულება, ეკონომიკური და სექ-სუალური.

გარდა ამისა, ევროსაბჭოს კონვენცია აქცენტს აკეთებს სამ ძირითად საკითხზე: <u>ძალადობის პრევენცია</u> – ცნობიერების ამაღლების, გა-ნათლების, პროფესიონალების გადამზადების გზით; <u>ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და მხარდაჭერა</u> – ინფორმირებულობითა და სერვისების მიწოდებით; <u>მოძალადეების წინააღმდეგ სამართლე-ბრივი დევნის დაწყება</u> – კანონის ამოქმედებით; ასევე, საერთა-შორისო თანამშრომლობასა და მონიტორინგის მექანიზმის შემუ-შავებით. ამჟამად, საქართველოს მთავრობა მუშაობს კონვენციის რატიფიცირებაზე, იმ მხრივ, რომ ხდება საქართველოს კანონმდებ-ლობის მასთან შესაბამისობაში მოყვანა.

საერთაშორისო არენაზე განხორციელებულმა ფაქტორებმა დიდი გა-ვლენა მოახდინა საქართველოში ოჯახში ძალადობის პრობლემის აღმოფხვრისკენ მიმართულ ღონისძიებებზე. კერძოდ კი, საქართვე-ლოს ინტეგრაციამ საერთაშორისო საზოგადოებაში შექმნა პლატფო-რმა კანონმდებლობისა და პოლიტიკის შემუშავებისთვის.

მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ საქართველო 1994 წლის 24 სექტემბერს, შეუერთდა კონვენციას „ქალთა მიმართ ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ“ (CEDAW), რომელიც 1978 წლის 18 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ იქნა მიღებული და ის ხშირად განიხილება, როგორც ქალთა უფლებების საერთაშორისო დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი თანასწორობის არსსა და მისი მიღწევის საშუალებებს განმარტავს და ავალდებულებს სახელმწიფოს, მისცეს ქალს თანასწორობის უფლების რეალურად გამოყენების საშუალება. მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტის მიერ კონვენციის რატიფიცირება მოხდა, ქვეყანა ვალდებულია კონვენციის ყველა პუნქტის შესრულებაზე, მათ შორის:

- აღმოფხვრას დისკრიმინაცია ქალების მიმართ კონსტიტუციური, საკანონმდებლო და სხვა შესაბამისი საშუალებებით.
- აღმოფხვრას დისკრიმინაციის სამართლებრივი საფუძვლები მოქმედი სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და შრომითი კანონმდებლობიდან.
- შეიტანოს ქალებისა და მამაკაცების თანასწორუფლებიანობის პრინციპები კონსტიტუციასა და სხვა შესაბამის კანონმდებლობაში.

საქართველოში „ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის შესახებ“ კანონის მიღების პროცესი:

საქართველოს პარლამენტმა 2006 წელს დაამტკიცა კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის შესახებ. კანონი მომზადდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით. კანონმა პირველად განსაზღვრა ოჯახში ძალადობის ცნება საქართველოს კანონმდებლობაში და შექმნა სამართლებრივი საფუძველი დამცავი და შემაკავებლი ორდერების გამოსაცემად, ასევე განსაზღვრა ის ქმედებები, რაც ახასიათებს ოჯახში ძალადობას, შექმნა მისი გამოვლენისა და აღკვეთის სამართლებრივი საფუძველი და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიები. 2006 წლიდან საქართველოს კანონის „ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის შესახებ“თანახმად, განხორციელდა მთელი რიგი შესწორებები საკანონმდებლო აქტებში. კერძოდ კი, ადმინისტრაციულ საპროცედურო კოდექსში, პოლიციის შესახებ კანონსა და იარაღის შესახებ კანონში (ჩიტაშვილი და სხვები, 2010). 2008 წელს დაფუძნდა სახელმწიფო საუწყებათაშორისო საბჭო ოჯახში ძალადობის შესახებ, რომლის მოვალეობებში შევიდა ოჯახში ძალადობის შესახებ კანონის მხარდაჭერა და დანერგვა.კანონის ძალაში შესვლამ გამოიწვია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ეროვნული რეფერალური მექანიზმის არსებობა, რომელიც შემუშავდა 2009 წელს და დამტკიცდა იმავე წელს ოჯახში ძალადობის საუწყებათაშორისო საბჭოს მიერ.ასევე, კანონის ძალაში შესვლას მოჰყვა ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების პერიოდული 2 წლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება და დანერგვა. აღნიშნულ კანონში 2009 წელს მომზადდა „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონსა და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო აქტებში შესატანი ცვლილებები და დამატებები, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 2009 წლის 28 დეკემბერს.

შესაბამისი ცვლილებები იქნა მიღებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსსა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში.

2013 წელს მომზადდა ცვლილებათა პაკეტი, რომელიც გულისხმობდა პასუხისმგებლობების გადანაწილებას ერთი უწყებიდან მეორეზე, აღნიშნული ცვლილებები დამტკიცდა პარლამენტის მიერ.ამავე წელს, შემუშავდა ცვლილებათა ორი პაკეტი 1. ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭოს და საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციისა (UN WOMEN) და 2. ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის ინიციატივით, რომელიც გადაეცა საკანონმდებლო ორგანოს განსახილველად. აღნიშნული ცვლილებების განხილვის პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის შესახებ კანონის მიღებამდე, 2004 წელს, შეიქმნა საკონსულტაციო საბჭო გენდერული თანასწორობის საკითხებში. 2006 წელს, საბჭომ მოამზადა სახელმწიფო კონცეფცია გენდერული თანასწორობის შესახებ.საბჭოს ძალისხმევით, შემუშავდა ახალი კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 2010 წლის აპრილში. ამ კანონმდებლობის თანახმად, გენდერული თანასწორობის საბჭო გახდა პერმანენტული ერთეული საქართველოს პარლამენტში.

კვლევების მიმოხილვა

1997 წლიდან ევროკავშირის ქვეყნები აქტიურად მონაწილეობენ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკისა და გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შემუშავებაში.სწორედ ამ დოკუმენტების ანალიზს ეხება ანდრეა კრიჟანისა და სხვების კვლევა, რომელიც პროექტების: MAGEEQ[5] და QUING[6] ფარგლებში განხორციელდა. QUING–ის მთავარ მიზანს წარმოადგენდა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შედარება ევროპის ქვეყნებს შორის და ფოკუსირებული იყო ორ ძირითად კითხვაზე: 1. რას მოიცავს გენდერული თანასწორობის პოლიტიკა? (ევროკავშირის 27 ქვეყანასა და ხორვატია, თურქეთში); 2. რა სახის მსგავსება და განსხვავება შეიძლება მოიძებნოს შემუშავებულ დოკუმენტებს შორის. QUING პროექტი ეფუძნებოდა პოლიტიკის ჩარჩოს ანალიზის მეთოდოლოგიას, რომლის შესაბამისი პოლიტიკის ჩარჩოები შემუშავდა MAGEEQ პროექტის ფარგლებში. თავის მხრივ, MAGEEQ იყო მულტიდისციპლინარული კვლევითი პროექტი, რომელიც აქცენტს აკეთებდა გენდერული უთანასწორობის, როგორც პოლიტიკის პრობლემის განსაზღვრის შედარებით ანალიზზე ევროკავშირის ქვეყნებში. ამ ორი კვლევითი პროექტის ფარგლებში გაკეთდა შედარებითი ანალიზი და შემუშავდა სხვადასხვა ანგარიში ოჯახში ძალადობის შესახებ დოკუმენტების შესწავლის შედეგად. მათ შორის აღსანიშნავია კვლევა, სადაც ავტორებმა გაანალიზეს ევროპული ქვეყნების ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კანონი და შესაბამისი ტექსტები, ასევე დებატები, რომლებიც ეხებოდა კანონების შემუშავებასა და დამტკიცებას 1995-2004 წლებში (Krizsan et. Al. 2007).კვლევის ფარგლებში გაანალიზდა, თუ როგორ ხდება ოჯახში ძალადობის აღქმა და რამდენად არის განხილული პრობლემა გენდერული თანასწორობის კუთხით. კვლევის შედეგების მიხედვით, ევროპის ქვეყნებში, ევროკავშირის ჩათვლით, ოჯახში ძალადობა აღქმულია, როგორც ადამიანთა უფლებების დარღვევის პრობლემა, თუმცა,იშვიათ შემთხვევებში (მაგ: ესპანეთი), როგორც გენდერული

5 MAGEEQ – Multiple Meanings of Gender Equality – A Critical Frame Analysis of Gender Policies in Europe

6 QUING – Quality in Gender +Equality Policieswww.quing.eu

უთანასწორობის პრობლემა, ამასთანავე, ევროკავშირის ქვეყნებში ოჯახში ძალადობის განსაზღვრა ხდება გენდერულ თანასწორობასთან მიმართებაშიც. თითქმის სრული თანხმობაა იმასთან დაკავშირებით, რომ ოჯახში ძალადობა არის საზოგადოებრივი და არა პირადი პრობლემა და პირველ რიგში, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მის აღმოფხვრაზე, ამიტომაც, თუ პრობლემა არსებობს, შესაძლოა რომ სახელმწიფოს არ შესწევს მისი გადაჭრის უნარი. (Krizsan et al., 2007).

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს ოჯახში ძალადობის მიმართ სახელმწიფოს პოლიტიკის და პოლიტიკის ცვლილებების დინამიკის გაანალიზება წლების მიხედვით. კონკრეტულად, პოლიტიკის ჩარჩოების მიხედვით გაანალიზდა სახელმწიფო დონეზე შემუშავებული ოჯახში ძალადობის და გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებული პოლიტიკის დოკუმენტები.

საკვლევი კითხვებია:

- როგორ ხედავს სახელმწიფო ოჯახში ძალადობის პრობლემასა და მისი გადაჭრის გზებს?
- პოლიტიკის ანალიზის რომელ კონკრეტულ ჩარჩოებს შეესაბამება ეს ხედვა?
- როგორია სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილებების დინამიკა პოლიტიკის ჩარჩოების ანალიზის მიხედვით?

მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებულია პოლიტიკის ჩარჩოს (policy frame) თვისებრივი ანალიზი. პოლიტიკის ჩარჩო განისაზღვრება, როგორც „ორგანიზებული პრინციპები, რომლებიც ფრაგმენტულ, ან შემთხვევით ინფორმაციას გარდაქმნის სტრუქტურირებულ და გააზრებულ პრობლემად, რომლის გადაწყვეტის გზებსაც იმპლიციტურად, თუ ექსპლიციტურად მოიცავს თავად ეს პრინციპები“ (ვერლოო 2005 ციტირებული დომბოს მიერ, 2012).

წინამდებარე ნაშრომში გამოყენებული ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით პოლიტიკის ჩარჩო ჩამოყალიბდა პროექტების, MAGEEQ და QUING ფარგლებში.აღნიშნული ჩარჩო განისაზღვრება ორი ძირითადი კითხვით:

1) რა არის პრობლემის მიზეზი?

2) ვის ეხება ეს პრობლემა?

პრობლემის მიზეზი შეიძლება იყოს საზოგადოების სტრუქტურაში არსებული გენდერული უთანასწორობა, ასევე სახელმწიფოს სუსტი პოლიტიკა და სხვა; ხოლო ეს პრობლემა შესაძლოა ეკუთვნოდეს არათანასწორ მდგომარეობაში მყოფ ქალებსა და მამაკაცებს, ან უბრალოდ მოქალაქეებს, სადაც გენდერის ნიშანი არ არის ხაზგასმული (Krizsan et. Al. 2007).

ზემოთ აღნიშნული პროექტების ფარგლებში შემუშავდა ხუთი ძირითადი და რვა მეორადი ჩარჩო. დეტალურად რომ განვიხილოთ, ძირითადი ჩარჩოები მოიცავს გენდერის კონტინიუმის[7] სამ ჩარჩოს (გენდერული თანასწორობის ჩარჩო, ქალზე ცენტრირებული ჩარჩო და დე–გენდერული ჩარჩო), ასევე „სუსტი სახელმწიფოს ჩარჩო“ და „სოციალური ნორმების ჩარჩო.“ განვიხილოთ თოთოეული მათგანი ცალ-ცალკე:

გენდერული თანასწორობის ჩარჩო — ოჯახში ძალადობა არის გენდერული დისკრიმინაციის ფორმა; ოჯახსა და საზოგადოებაში ძალაუფლების არათანაბარი გადანაწილების ანარეკლი; ეს არის უნივერსალური პრობლემა, კლასის, რასის, განათლებისა და ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად; გენდერული უთანასწორობა არის ოჯახში ძალადობის როგორც მიზეზი, ასევე შედეგი. ამ ჩარჩოში ექსპლიციტურად არის ხაზგასმული, რომ მსხვერპლი ძირითადად/ყველაზე ხშირ შემთხვევაში არის ქალი. ეს პრობლემა არის საჯარო საკითხი და სახელმწიფოს ჩართულობა აუცილებელი პირობაა.

7 „გენდერის კონტინიუმი“ – სამი ძირითადი ჩარჩო, რომლის მიხედვითაც ოჯახში ძალადობის პრობლემის მიზეზი და შედეგი განისაზღვრება გენდერული თანასწორობის ტერმინებში.

ქალზე ცენტრირებული ჩარჩო — ოჯახში ძალადობის ფენომენს აღწერს გენდერულად ნეიტრალურ, ადამიანის უფლებების ტერმინებში, მაგრამ ამბობს, რომ სტატისტიკურად ოჯახში ძალადობა ძირითადად ქალებზე ხორციელდება. თუმცა, ამ პრობლემის მიზეზს არ ეძებს საზოგადოების სტრუქტურაში. ქალი ყოველთვის განიხილება როგორც მსხვერპლი (ზოგჯერ ბავშვებთან ერთად), ხოლო მამაკაცი — როგორც მოძალადე. პრობლემაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს და საზოგადოებას.

დე-გენდერული ჩარჩო – ეს ჩარჩო, თავის მხრივ, აერთიანებს „იმპლიციტური გენდერული თანასწორობის“[8] და „ინდივიდუალური უფლებების“[9] ჩარჩოს. პრობლემას ეძებს არა საზოგადოების სტრუქტურაში, არამედ ინდივიდუალურ დონეზე. არც მსხვერპლს და არც მოძალადეს არ გააჩნია სქესი და გენდერი. მოძალადე არის ძალაუფლების მქონე, ხოლო მსხვერპლი არის სუბორდინირებული და შეიძლება იყოს ნებისმიერი, ვისაც სუბორდინირებულის სტატუსი აქვს (ბავშვი, მოხუცი, შშმპ). პრობლემა წარმოდგენილია გენდერულად ნეიტრალურ ტერმინებში და ის არის უნივერსალური პრობლემა, რომელიც გვხვდება ნებისმიერ დონეზე.

სუსტი სახელმწიფო — ოჯახში ძალადობა მიიჩნევა როგორც სახელმწიფოს სუსტი პოლიტიკის შედეგი; სახელმწიფომ და მისმა განშტოებებმა ვერ შეძლო ეცნო პრობლემა, გამკლავებოდა მას და მოეხდინა მისი პრევენცია. ამ „მარცხის“ მიზეზი არის პრობლემის იგნორირება, ან ინფორმაციის ნაკლებობა, ასევე არაადეკვატური კომუნიკაცია, თანამშრომლობა და კოორდინაცია.

---

8 პრობლემას განიხილავს გენდერულად ნეიტრალურ ტერმინებში. მსხვერპლი არასდროს არ არის ქალი. თუმცა იმპლიციტურად მოიცავს გენდერული თანასწორობის პრინციპებს, რამდენადაც, პრობლემის გადაჭრის გზები ეფუძნება გენდერული თანასწორობის შესახებ არსებულ მნიშვნელოვან საერთაშორისო დოკუმენტებს.

9 ოჯახში ძალადობის განხილვისას ყურადღება ექცევა არა პრობლემის მიზეზს არამედ მის ცალკეულ გამოვლინებებს. ძალადობას ახდენს უფრო ძლიერი ინდივიდი უფრო სუსტზე (ანუ ქალი/კაცი დიქოტომია კი არა, არამედ ძლიერი / სუსტი - რაც გენდერისგან დაცლილია). აქცენტი კეთდება ინდივიდუალური უფლებების დაცვაზე.

სოციალური ნორმების ჩარჩო — ძალადობა არის სოციალური ნორმების ნაწილი. მსხვერპლები არ საუბრობენ ძალადობის შესახებ და არ ცდილობენ ძალადობის ციკლიდან გამოსვლას. გარშემომყოფები შესაძლოა არ აღიქვამდნენ ძალადობას, როგორც პრობლემას. აქცენტი აქაც კეთდება უფრო მეტად პრობლემის ამოცნობაზე, ვიდრე თვითონ პრობლემაზე. ეს ჩარჩო მოიცავს **ქვე-ჯგუფების ჩარჩოსაც**, რომლის მიხედვითაც საკითხი ეხება პრობლემისადმი განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებს.

მეორადი ჩარჩოებია:

კონფიდენციალურობის ჩარჩო — მიიჩნევა, რომ ოჯახში ძალადობა არის კონფიდენციალური პრობლემა და სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს;

მსხვერპლი მამაკაცების ჩარჩო — აქცენტი მთლიანად გადატანილია მამაკაცების დაცვაზე, რომლებიც გახდნენ ოჯახში ძალადობის მსხვერპლები;

ოჯახის ჩარჩო — ძალადობა არის ოჯახის პირადი სფერო და პრობლემის გადაჭრაც ოჯახშივე უნდა ხდებოდეს. აქცენტი კეთდება ოჯახის, როგორც ერთეულის დაცვაზე და მიიჩნევა, რომ პრობლემის მოგვარების მიზნით გარედან ჩარევის შემთხვევაში, აუცილებელია სიფრთხილე, რომ ოჯახის ერთიანობა არ დაინგრეს;

საერთაშორისო ვალდებულებების ჩარჩო — ადამიანთა უფლებების დაცვა და გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გატარება მნიშვნელოვანია არა ღირებულებების გამო, რომელიც კონკერტულ სახელმწიფოს აქვს, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს არის მთავარი ასპექტები დემოკრატიის, მოდერნიზაციისა და ევროპიზაციის გზაზე;

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ჩარჩო — ოჯახში ძალადობა არის არა ადამიანის უფლებების, არამედ ჯანდაცვის საკითხი. ამგვარი ინტერ-

პრეტაცია მთლიანად მოკლებულია გენდერულ სენსიტიურობას. განსაზღვრული აქტივობები ძირითადად მოიცავს მსხვერპლთა დაცვას და ძალადობის პრევენციას.

დევიაციის ჩარჩო — ოჯახში ძალადობა არ არის უნივერსალური პრობლემა, არამედ დამახასიათებელია კონკრეტული მარგინალური, ან დევიანტური სუბ-ჯგუფებისთვის (მაგ. ნარკომანებისთვის, ალკოჰოლიკებისთვის). შესაბამისად, ამ ჩარჩოს ფარგლებში ოჯახში ძალადობის პრობლემის გადაწყვეტა უკავშირება დევიანტურ ჯგუფებთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრას;

მოძალადის უფლებების ჩარჩო — ამ ჩარჩოს მიხედვით, ოჯახში ძალადობის დროს რეალური მსხვერპლი არის მოძალადე, რადგან იზღუდება მისი ბაზისური უფლებები როგორიცაა საკუთრების, თავისუფალი გადაადგილების, განმარტოებისა თუ რელიგიური თავისუფლების.

ბავშვთა უფლებების ჩარჩო — ოჯახში ძალადობის რეალური მსხვერპლები არიან ბავშვები, ხოლო ქალები უნდა იყვნენ დაცულები ძალადობისგან, არა იმიტომ რომ მათი, როგორც ქალთა, უფლებები ირღვევა, არამედ იმისთვის, რათა უკეთესად შეძლონ მსხვერპლი ბავშვების დაცვა.

კვლევის ინსტრუმენტი

ანალიზის პროცესში გამოყენებული ინსტრუმენტი შემუშავდა ზემოთ აღნიშნულ MAGEEQ და QUING პროექტებში, რომელიც შემდგომ ადაპტირდა მიმდინარე კვლევის საჭიროებების შესაბამისად. ეს ინსტრუმენტი მოიცავს პუნტქებს/კითხვებს, რომლის შესაბამისადაც ხდება მოცემული დოკუმენტის გაანალიზება.

ინსტრუმენტი შედგება ორი ძირითადი ბლოკის — დიაგნოზისა და პროგნოზისგან. დიაგნოზის ნაწილში მოცემული პუნქტები/კითხვები საშუალებას იძლევა განისაზღვროს როგორ არის დასმული პრობლემა მოცემული დოკუმენტის მიხედვით: როგორ განისაზღვრება ოჯახში ძალადობის პრობლემა, რა მიიჩნევა ამ პრობლემის მიზეზად და რამდენად არის გენდერი მოაზრებული მის ნაწილად, ასევე, ვინ განიხილება მსხვერპლად და ა.შ. პროგნოზის ნაწილი კი, საშუალებას იძლევა განისაზღვროს როგორია ამ პრობლემის გადაჭრის ხედვა - ვინ არის სამიზნე ჯგუფი, ვინ არის/არიან პასუხისმგებელი აქტორები და რა მექანიზმებით ხდება ამ პრობლემის ახსნა და მოგვარება.

დიაგნოზის და პროგნოზის გარდა, ინსტრუმენტი საშუალებას იძლევა იდენტიფიცირდეს ე.წ. „ხმა“ — ანუ ვის ხედვას გამოხატავს მოცემული დოკუმენტი; როგორია ის — სუბიექტური, თუ ობიექტური; ვინ არიან ძირითადი აქტორები, რომელი ძირითადი ცნებები/კონცეპტები არის გამოყენებული დოკუმენტში და რომელი წყაროებიდან მოხდა ამ ცნებების გადმოტანა; ასევე, არის თუ არა დოკუმენტში პრობლემა განხილული გენდერსა და სხვა სოციალურ უთანასწორობებთან მიმართებაში (Intersectionality).

ანალიზის პროცესი გულისხმობდა მასალის თითოეული მუხლის დეტალურ და სიღრმისეულ გაანალიზებას სწორედ ამ ინსტრუმენტის საშუალებით (იხ. დანართი 1). თითოეული ჩარჩოსთვის შეიქმნა ე.წ. ინდიკატორები (იხ. დანართი 2), რომელზე დაყრდნობითაც განისაზღვრებოდა თუ კონკრეტულად რომელ ჩარჩოს შეესაბამება ესა თუ ის პოლიტიკის დოკუმენტი. იქიდან გამომდინარე, რომ სუბიექტურობის პრობლემა მაქსიმალურად შემცირებულიყო, თითოეული დოკუმენტი სამი მკვლევარის მიერ დამოუკიდებლად გაანალიზდა და შემდეგ შეჯერდა.

შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით გაანალიზებული დოკუმენტების ჩამონათვალი:

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე შეირჩა პოლიტიკის დოკუმენტები, (სახელმწიფო დონეზე შემუშავებული დოკუმენტები), რომელიც გაანალიზდა ზემოთ აღწერილი მეთოდოლოგიის მიხედვით. აღნიშნული მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას გაანალიზდეს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა აქტორების მიერ შემუშავებული მასალებიც, თუმცა ეს სხვა კვლევის საგანს წარმოადგენს.

გაანალიზებული კანონები:

1. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ 2009
2. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 2013
3. 2013 წლის ინიცირებულ ცვლილებებათა პაკეტი საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ შემუშავებული
4. 2013 წლის ინიცირებულ ცვლილებათა პაკეტი ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის მიერ შემუშავებული
5. გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია, 2006
6. საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ პროექტი — კანონის სამუშაო ვერსია
7. საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, 2010

სამოქმედო გეგმები:

8. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2009-2010 წლების სამოქმედო გეგმა
9. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2011-2012 წლების სამოქმედო გეგმა

10. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2013-2015 წლების სამოქმედო გეგმა
11. გენდერული თანასწორობის 2011-13 წლების სამოქმედო გეგმა
12. გენდერული თანასწორობის 2014-16 წლების სამოქმედო გეგმა

კანონში შესატანი ცვლილებების განხილვის სტენოგრაფიული ჩანაწერები:

13. 2009 წლის ცვლილებების განხილვა საქართველოს პარლამენტში
14. 2013 წლის ცვლილებების განხილვა პარლამენტში

კვლევის ფარგლებში არ გაანალიზებულა 2006 წელს მიღებული ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კანონი და მისი საპარლამენტო განხილვა, რამდენადაც ეს დოკუმენტები უკვე დამუშავებულია თ. საბედაშვილის ნაშრომში (2011). დოკუმენტების ჩამონათვალი წარმოადგენს სახელმწიფო, ოფიციალურ დოკუმენტებს. საქართველოს კანონები და მასში შესული ცვლილებები შემუშავებულია საქართველოს პარლამენტის მიერ და დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის მიერ. გაანალიზებული დოკუმენტები შესაძლებლობას გვაძლევს ვისაუბროთ სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ და დავსახოთ სურათი, თუ როგორ ხედავს სახელმწიფო ოჯახში ძალადობის პრობლემას. გამომდინარე იქიდან, რომ ოჯახში ძალადობა გენდერზე დამყარებული ძალადობის მაგალითია, სრული სურათის მისაღებად პროექტის ფარგლებში, შემუშავებული მეთოდოლოგიით გაანალიზდა გენდერული თანასწორობის კანონიც, გენდერული თანასწორობის კუთხით ქვეყნის პოლიტიკის გაგების მიზნით.

დოკუმენტების მოკლე აღწერა:

— 2009 წლის ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კანონი მოიცავს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 2006 წლის კანონში მიღებულ ცვლილებებს. კანონში განსაზღვრულია მისი რეგულირების სფერო, აღწერილია ის მიზნები და ამოცანები რაც კანონის განხორციელების შედეგად უნდა მიიღწეს. ასევე,

მოცემულია ოჯახში ძალადობის და სხვა მნიშვნელოვან ტერმინთა განმარტება და ოჯახში ძალადობის პრობლემის პრევენციის მექანიზმები.

— 2013 წლის ცვლილებები, რომელიც 2009 წლის ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ კანონში შევიდა, ძირითადად აღწერს საუწყებათაშორისო საბჭოს საქმიანობის რეგულირებასთან დაკავშირებულ ცვლილებებს.

— 2009-10, 2011-12 და 2013-15 წლის სამოქმედო გეგმებში მოცემულია ის მიზნები, ამოცანები და აქტივობები რაც უნდა შესრულდეს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის განსახორციელებლად შესაბამის ვადებში. ამასთანავე, მოცემულია ის აქტორები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან დასახული მიზნების მიღწევაში.

— 2009 წლისა და 2013 წლის ცვლილებების განხილვა პარლამენტში: დოკუმენტები წარმოადგენს, პარლამენტში საკანონმდებლო ცვლილებების განხილვის სტენოგრაფიულ ჩანაწერს, რომელშიც მოცემულია ინიციატორისა და პარლამენტის წევრების მოსაზრებები ცვლილებების აუცილებლობასთან დაკავშირებით. 2009 წელს შესული ცვლილებები უფრო მეტად კანონის ხარვეზებსა და როგორც ტექნიკურ, ასევე შინაარსობრივ ცვლილებებზე იყო ორიენტირებული, მაშინ როდესაც 2013 წლის ცვლილებები მხოლოდ ტექნიკური ხასიათის იყო.

— ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის მიერ 2013 წელს ინიცირებული ცვლილებები ძირითადად ეხება თვითმმართველობის ორგანოების ჩართვას ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ აქტივობებში.

— საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ 2013 წელს ინიცირებული ცვლილებები ეხება როგორც ოჯახში ძალადობის წინააღდეგ მიმართული კანონში შესატან ცვლილებებს, ასევე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და საპროცესო კოდექსებში შესაბამის ცვლილებებს.

— გენდერული თანსწორობის კონცეფცია შემუშავდა 2006 წელს. კონცეფციის მიზანია ხელი შეუწყოს ყველა სფეროში გენდერული

თანასწორობის მიღწევას. დოკუმენტში მოცემულია კონცეფციის ძირითადი ტერმინთა განსაზღვრებები, გენდერული თანასწორობის მიღწევის ძირითადი მიმართულებები და შესაბამისი მექანიზმები. გამოყოფილია კონკრეტული სფეროები, სადაც უნდა მოხდეს ამისი რეგულაცია — პოლტიკა, ეკონომიკა და სოციალური სფერო.

— გენდერული თანასწორობის კანონის სამუშაო ვერსია, წარმოდგენილი პროექტის სახით, განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის საფუძვლებს და რეგულაციებს.
— გენდერული თანასწორობის 2010 წლის კანონი განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის საფუძველს და რეგულაციებს.
— 2011-13 და 2014-16 წლების გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმები ასახავს კონკრეტულ აქტივობებსა და მექანიზმებს კანონის იმპლემენტაციისთვის.

შედეგების ინტერპრეტაცია და ანალიზი

შედეგები წარმოდგენილია ორ ნაწილად. პირველ ნაწილში განხილულია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკის დოკუმენტები, ხოლო მეორე ნაწილში - გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული პოლიტიკის დოკუმენტები.

1. სახელმწიფოს ხედვა ოჯახში ძალადობის პრობლემაზე პოლიტიკის ჩარჩოების მიხედვით

გამოყენებული მეთოდოლოგიის მიხედვით, გაანალიზებული დოკუმენტები შეიძლება დაიყოს ობიექტური და სუბიექტური ტიპის დოკუმენტებად. ობიექტურია ისეთი დოკუმენტები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ არის შემუშავებული და არ გამოხატავს რომელიმე კონკრეტული პირის პერსპექტივას, მაგალითად, კანონი, ეროვნული სამოქმედო გეგმები და სხვა. შესაბამისად, სუბიექტური ტიპის დოკუმენტები წარმოადგენენ კონკრეტული პირების, ან ორგანიზა-

ციების მოსაზრებებს, ან ხედვას შესაბამის საკითხთან დაკავშირებით, მაგალითად საპარლამენტო დისკუსიები, სადაც სხვადასხვა კონკრეტული მხარის მოსაზრებები არის განხილული.

პოლიტიკის ჩარჩოების ანალიზის მიხედვით, გაანალიზებულ მასალაში გამოიყო ორი ასპექტი: 1. როგორ ხედავს სახელმწიფო ოჯახში ძალადობის პრობლემას: რა არის ოჯახში ძალადობა და ვინ არის მსხვერპლი? (დიაგნოზი) და 2. როგორ ხედავს სახელმწიფო ამ პრობლემის გადაჭრის გზებს: რა არის პრობლემის მიზეზი და რა აქტივობებია მიმართული პრობლემის გადაჭრისკენ? (პროგნოზი).

1.1. რა არის ოჯახში ძალადობა და ვინ არის მსხვერპლი (დიაგნოზი)

გაანალიზებული მასალიდან გამოჩნდა, რომ ოჯახში ძალადობის პრობლემას სახელმწიფო ათავსებს დე-გენდერულ ჩარჩოში, ანუ აღნიშნულ პრობლემას მიაკუთვნებს ადამიანის უფლებების დაცვის საკითხს და არ განიხილავს გენდერული თანასწორობის ტერმინებში. კანონის მიხედვით, ოჯახში ძალადობა გულისხმობს:

> ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით. (მუხლი 3).

მთელს კანონში არსად არ არის საუბარი ოჯახში ძალადობაზე გენდერული უთანასწორობის კონტექსტში და ძირითადი აქცენტი კეთდება ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის უფლებების შელახვაზე, შესაბამისად პრობლემის გადაჭრის გზას ინდივიდების თანასწორობის აღიარებით, უფლებებისა და თავისუფლების დაცვაში ხედავს, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ეფექტური ნორმატიული მექანიზმების შემუშავებით.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ კანონში, მისი შემუშავების მიზანზე საუბრისას, გამოჩნდა, რომ სახელმწიფოსთვის მნიშვნე-

ლოვანია ოჯახის მთლიანობისა და ოჯახური ღირებულებების დაცვაც, რაც პოლიტიკის ჩარჩოების ანალიზის მიხედვით **ოჯახის ჩარჩოში** თავსდება:

კანონის მიზანია:

> ოჯახის წევრთა უფლებრივი თანასწორობის აღიარებით მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის, ოჯახური ღირებულებების დაცვის საკანონმდებლო გარანტიების შექმნის უზრუნველყოფა; (მუხლი 2, ა).

რაც შეეხება პრობლემის განსაზღვრისას გამოყენებულ კონცეპტებს, თითოეული განმარტება დაცლილია გენდერის კომპონენტისგან და მთლიანად ნეიტრალურ ტერმინებშია გადმოცემული. მაგალითად, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კანონის მეოთხე მუხლში, რომელიც ეთმობა დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებებს, მოყვანილია, თუ რას გულისხმობს ოჯახში ძალადობის თითოეული სახე. კანონის თანახმად, ოჯახში ძალადობა მოიცავს: ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სექსუალურ, ეკონომიკურ ძალადობას, ან იძულებას. გარდა ამისა, კანონის მიხედვით, ძალადობის მსხვერპლიც და მოძალადეც შეიძლება იყოს ოჯახის ნებისმიერი წევრი, განურჩევლად სქესისა:

> **მსხვერპლი** – ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა, ან იძულება და რომელსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა ან/და სასამართლო ორგანომ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა) (მუხლი 4, ვ).
>
> **მოძალადე** – ოჯახის წევრი, რომელიც ახორციელებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობას ან იძულებას ოჯახის სხვა წევრის მიმართ; (მუხლი 4, თ).

მსხვერპლისა და მოძალადის გენდერულად ნეიტრალური ტერმინებით წარმოჩენა დე-გენდერული ჩარჩოს ერთ-ერთი ინდიკატორია. ამ ჩარჩოს ფარგლებში გენდერული ცნებებით არ აღიწერება პრობლემა. ანუ, ძალადობა არის ფესვგადგმული არა საზოგადოების სტრუქტურაში, სადაც მამაკაცები არიან დომინანტები, არამედ პრობლემა განიხილება ინდივიდუალურ დონეზე, როგორც ორ ადამიანს შორის უფლებრივი საზღვრების გადაკვეთა.

კანონში არსად არ არის ნახსენები, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, როგორც წესი, არის ქალი. გაანალიზებული დოკუმენტებიდან, მსხვერპლის სქესის დაკონკრეტების ერთადერთი შემთხვევა გამოვლინდა 2009 წლის კანონში შესატანი ცვლილებების განხილვისას, როდესაც მომხსენებელი განიხილავს თავშესაფარში ბავშვის მიყვანის საკითხს: მსხვერპლად მოხსენიებულია 'დედა', რაც მიუთითებს, რომ კონკრეტული აქტორი მსხვერპლში უმეტესწილად, იმპლიციტურად მოიაზრებს ქალს: „თავშესაფარში დედას აქვს უფლება მიიყვანოს ბავშვიც" (რ. კერვალიშვილი). გაანალიზებულ დოკუმენტებში, მხოლოდ ერთი შემთხვევის დაფიქსირება მიუთითებს, რომ სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტები არ არის ქალზე, როგორც ოჯახში ძალადობის ძირითად მსხვერპლზე ცენტრირებული.

ისევე როგორც კანონში, სხვა დოკუმენტებშიც, როგორიცაა სამოქმედო გეგმები და საპარლამენტო განხილვები, პრობლემა დასმულია გენდერულად ნეიტრალური კუთხით. მაგალითად, სამოქმედო გეგმები ყურადღებას არ ამახვილებს ისეთი აქტივობების გაწერაზე, რომელიც მიმართული იქნება გენდერული თანასწორობის დაცვაზე, ქალთა გაძლიერებაზე, ან ამ კუთხით საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებაზე. საკანონმდებლო ცვლილებების საპარლამენტო განხილვებისას, ასევე არ გამოჩნდა, რომ აქტორები ოჯახში ძალადობის პრობლემას გენდერული უთანასწორობის ტერმინებში განიხილავდნენ.

1.2. ოჯახში ძალადობის პრობლემის მიზეზები და პრობლემის მოგვარების გზები (პროგნოზი)

კვლევაში გამოყენებული მეთოდოლოგია აქცენტს აკეთებს ასევე იმაზე, თუ როგორ და რაში ხედავს სახელმწიფო ოჯახში ძალადობის პრობლემის მიზეზებს. დამუშავებულ დოკუმენტებში, პირდაპირ არსად ჩანს რა არის პრობლემის მიზეზი. შესაბამისად, არ არის ნახსენები პრობლემის გამომწვევი ფაქტორები და პრობლემის განხილვისას, არც ექსპლიციტურად და არც იმპლიციტურად გენდერის ასპექტებზე არ არის ყურადღება გამახვილებული. პრობლემა განხილულია მატერიალური ხაზით (რესურსებით), ანუ, ძირითადი აქცენტი კეთდება ოჯახში ძალადობის პრობლემასთან ბრძოლისთვის საჭირო რესურსების შექმნაზე, რაც გულისხმობს კარგი საკანონმდებლო ბაზისა და სამართლებრივი მექანიზმების შექმნის საჭიროებას, ასევე, კრიზისული ცენტრების და თავშესაფრების ამოქმედებას და ა.შ. აღსანიშნავია, რომ პრობლემის განხილვა არ ხდება დისკურსული ხაზით, რაც ნიშნავს, რომ პრობლემა არ განიხილება საზოგადოებაში არსებულ გენდერულ სტერეოტიპებთან და წარმოდგენებთან მიმართებაში. ოჯახში ძალადობის პრობლემის დისკურსის ხაზით განხილვის საჭიროებას ხაზს უსვამს ევროსაბჭოს კონვენცია. კონვენციის მიხედვით, პატრიარქალური იდეოლოგია, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვეულებებსა და ტრადიციებს, აძლიერებს ქალის სუბორდინირებულ როლს ოჯახსა თუ საზოგადოებაში (2011). გარდა ამისა, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, საქართველოს კონტექსტიც, სადაც გენდერული სტერეოტიპები ფართოდ არის გავრცელებული საზოგადოებაში. გენდერული თანასწორობის შესახებ საზოგადოებაში გავრცელებული დამოკიდებულებების კვლევის მიხედვით გენდერული სტერეოტიპები ჯერაც ძლიერია (UNDP, 2013), რაც ხელს უწყობს ოჯახში ძალადობის პრობლემის არსებობას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ პრობლემასთან ბრძოლა ითვალისწინებდეს მის სიღრმისეულ კვლევას და ანალიზს.

თუმცა, სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ პრობლემასთან ბრძოლის ძირითადი სტრატეგიები გულისხმობს ოჯახში

ძალადობის კონკრეტული ფაქტების გამოვლენას და ამ ფაქტების აღკვეთას. პრობლემის სიღრმისეული ძიება არ ხდება. კრიჟანისა და პოპას მიხედვით, როდესაც სახელმწიფო პოლიტიკაში დომინანტურია დე-გენდერული ჩარჩო, მისთვის (პოლიტიკისთვის) დამახასიათებელია პრობლემის სიმპტომებზე და არა მიზეზებზე ფოკუსირება (კრიჟანი, პოპა, 2010:5). მართალია, სამოქმედო გეგმებში ცალკე გამოყოფილია კვლევის კომპონენტი, თუმცა დაკონკრეტებულია, რომ კვლევა მიმართული იქნება არსებული მდგომარეობის, კონკრეტული ფაქტების და სტატისტიკის შესწავლისკენ და არა პრობლემის ფენომენის უფრო სიღრმისეული კვლევისკენ, რომელიც რეალურად შეეცდებოდა გამოერკვია პრობლემის მიზეზი. ნახსენებია საინფორმაციო კამპანიები და ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებებიც, თუმცა სამოქმედო გეგმებში არსად არ ჩანს კონკრეტულად რა საკითხზე იქნება ეს ღონისძიებები და მოიცავს თუ არა გენდერული თანასწორობის ასპექტს.

> ოჯახში ძალადობის შემთხვევების სტატისტიკის წარმოება ერთიანი სტანდარტის მიხედვით (სამოქმედო გეგმა, 2013-2015,1.5.1.)
> ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით ცნობიერების დონის შესახებ კვლევის ჩატარება(სამოქმედო გეგმა, 2013-2015,1.6.1.)

ზემოთ აღწერილი პრობლემის გადაჭრის გზები ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ სახელმწიფო პოლიტიკა ოჯახში ძალადობას განიხილავს ზედაპირულ დონეზე, კონკრეტული შემთხვევების ფარგლებში და მის მიზეზებს არ ეძებს საზოგადოების სტრუქტურაში არსებულ გენდერულ უთანასწორობაში. ევროსაბჭოს კონვენციის მიხედვით კი:

> ოჯახში ძალადობის პრობლემის მოგვარებისას გადამწყვეტი არ არის დანაშაულის აღკვეთა. არამედ, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის უზრუნველყოფა. მათთვის თანასწორი უფლებების, პასუხიმგებლობებისა და შესაძებლობების გარანტირება (ევროსაბჭოს კონვენცია, 2011).

ზემოთ აღნიშნულის მისაღწევად, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს შემუშავებული ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კომპლექსური პოლიტიკა, რომელიც გააძლიერებს ქალებს და უზრუნველყოფს მათ თანასწორობას მამაკაცებთან. მნიშვნელოვანია ასევე, რომ სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი იყოს საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის გამოვლენა და მის მოგვარებაზე აქცენტის გაკეთება (ევროსაბჭოს კონვენცია, 2011).

1.3. სოციალური ჯგუფების ურთიერთკვეთა (Intersectionality)

პრობლემის გაანალიზებისას, აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს გენდერისა და სოციალური ჯგუფების ურთიერთკვეთაზე (Intersectionality) — არის თუ არა ოჯახში ძალადობის პრობლემა განხილული გენდერსა და სხვა უთანასწორობებთან, ან სოციალურად არათანაბარ მდგომარეობებთან (რასა, კლასი, ასაკი, ეთნიკური წარმომავლობა, სექსუალური ორიენტაცია, შეზღუდული შესაძლებლობები და სხვა) ურთიერთკვეთაში. სხვა სიტყვებით, აისახება თუ არა სახელმწიფო პოლიტიკაში ოჯახში ძალადობის მიმართ უფრო მეტად მოწყვლადი ჯგუფების და გენდერული უთანასწორობის ურთიერთკვეთის საკითხები. ვერლოოს (2007) მიხედვით, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის შემუშავებისას, გენდერულ უთანასწორობასთან ერთად, მნიშვნელოვანია სხვა უთანასწორობების გათვალისწინებაც, რათა პრობლემის უფრო კომპლექსურად დაფარვა მოხდეს.

მიმდინარე კვლევაში დამუშავებული დოკუმენტების მიხედვით ურთიერთკვეთა გამოჩნდა შემდეგ კატეგორიებთან: არასრულწლოვნები, სოფლად მცხოვრებნი, იძულებით გადაადგილებული პირები, ეთნიკური უმცირესობები, გარკვეული ფსიქო-სოციალური თავისებურებების მქონე პირები (ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, ფსიქიკური აშლილობები).

კანონსა და სამოქმედო გეგმებში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული არასწრულწლოვანებზე, როგორც ოჯახში ძალადობის

მსხვერპლად ყოფნის განსაკუთრებულად მოწყვლად ჯგუფზე, არასრულწლოვანის განსაკუთრებული მდგომარეობის/საჭიროების გამო. სახელმწიფოს ეს მიდგომა ექცევა **ბავშვთა უფლებების ჩარჩოში**.

> მოძალადის მიერ არასრულწლოვნის მოტაცების ან მისთვის სხვა სახის ზიანის მიყენების რეალური საფრთხის არსებობისას სასამართლო გადაწყვეტილებით მოძალადეს შეიძლება აეკრძალოს მისი მონახულების უფლება გარემოების შეცვლამდე (მუხლი, 15).

როგორც ზევით აღინიშნა, კანონის მიხედვით, ოჯახის ნებისმიერი წევრი შეიძლება იყოს როგორც მსხვერპლი, ასევე მოძალადე. თუმცა, ამ ორ კატეგორიაზე საუბრისას, აქცენტი კეთდება არა სქესზე, არამედ კონკრეტული ჯგუფებისადმი მიკუთვნებულობაზე. მაგალითად, როდესაც მოძალადეთა რეაბილიტაციაზეა საუბარი, ისინი განხილულნი არიან როგორც ნარკომანიით და ალკოჰოლიზმით დახასიათებული მარგინალური ჯგუფი.

> მოძალადეთა სარეაბილიტაციო ღონისძიებები გულისხმობს იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია მოძალადის ფსიქოლოგიურ-სოციალური დახმარებისა და გაჯანსაღებისაკენ, ცალკეული მავნე ჩვევებისაგან (ალკოჰოლიზმი, ნარკომანია ან ისეთი ფსიქიკური დაავადება, რომელიც არ გამორიცხავს შერაცხადობას) პირის განკურნებისა და რეაბილიტაციისაკენ და დაკავშირებულია ძალადობის შემდგომი გამოვლინების თავიდან აცილებასა და მსხვერპლის შემდგომი უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან. (მუხლი 20).

ეს ხედვა თავსდება **დევიაციის ჩარჩოს** ფარგლებში.

გარდა ამისა, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ სამოქმედო გეგმებში ცალკეა გამოყოფილი აქტივობები, რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო კამპანიებს კონკრეტულ სოციალურ ჯგუფებში — იძულებით გადაადგილებული პირები, ეთნიკური უმცირესობები და

სოფლის მოსახლეობა; სავარაუდოდ იგულისხმება, რომ ეს ჯგუფები უფრო მეტად მოწყვლადნი არიან ოჯახში ძალადობის მიმართ და ამიტომ მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიწოდება.

> საინფორმაციო საგანმანათლებლო შეხვედრების უზრუნველყოფა შემდეგ მიზნობრივ ჯგუფებთან: ა) იძულებით გადაადგილებული პირები; ბ) სოფლად მცხოვრები მოსახლეობა; გ) ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. (სამოქმედო გეგმა 2011-13 წ. 3.2.2).

ეს შემთხვევა შეესაბამება **ქვე-ჯგუფების ჩარჩოს**, რომელიც აქცენტს აკეთებს კონკრეტულ სოციალურ ჯგუფებზე, როგორც ოჯახში ძალადობის პრობლემის რისკ-ჯგუფებზე.

აღსანიშნავია, რომ კანონი და სხვა გაანალიზებული დოკუმენტები, ერთის მხრივ, მეტ-ნაკლებად მოიცავს სხვადასხვა უთანასწორობებს, თუმცა არა გენდერულ უთანასწორობასთან მიმართებაში; ანუ, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ურთიერთკვეთის (Intersectionality) განზომილება არ არის გათავლისწინებული. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს პოლიტიკის დე-გენდერულ ჩარჩოზე.

2. პოლიტიკის ცვლილებების დინამიკა პოლიტიკის ჩარჩოების ანალიზის მიხედვით

ოჯახში ძალადობის სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზისას, მნიშვნელოვანია, დავინახოთ შეიცვალა თუ არა ქვეყნის პოლიტიკა წლების მიხედვით. ამ მიზნით, კვლევის ფარგლებში შედარდა, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კანონისა და სამოქმედო გეგმების 2006, 2009 და 2013 წლის დოკუმენტები. ანალიზმა აჩვენა, რომ სახელმწიფოს ხედვა პოლიტიკის ჩარჩოების მიხედვით, რჩება უცვლელი. დე-გენდერული ჩარჩო არის დომინანტური.

თ. საბედაშვილის (2011) მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ოჯახში ძალადობის 2006 წლის კანონშიც დომინირებს დე-გენდერული ჩარჩო. როგორც აღინიშნა, საბედაშვილის კვლევაც ასევე ეყრდნობოდა პოლიტიკის ჩარჩოების ანალიზს, რომლის ფარგლებშიც გაანალიზდა საქართველოს შემთხვევა საერთაშორისო კონტექსტთან მიმართებაში. კვლევაში ასახულია საქართველოს კანონმდებლობის შემუშავების დროს მიმდინარე დებატები და დამტკიცების პროცესი; მათ შორის მედიაში 1991-2006 წლებში გამოქვეყნებული ტექსტები. ნაშრომის მიხედვით, საქართველოში, კანონმდებლობა გენდერულად ნეიტრალური ტერმინებით არის შემუშავებული. ის არ განიხილავს ქალს, როგორც ძალადობის ძირითად მსხვერპლს და არც გენდერულ უთანასწორობას მოიაზრებს, როგორც ოჯახში ძალადობის გამომწვევ ფაქტორს (საბედაშვილი, 2011).

> საქართველოს შემთხვევაში, კანონის სამუშაო ვერსია აქცენტს აკეთებდა ქალებზე, როგორც ძალადობის ძირითად მსხვერპლებზე, თუმცა, პარლამენტში კანონის პირველი მოსმენის შემდეგ, ქალზე ცენტრირებული ყველა ტერმინი ჩანაცვლდა გენდერულად ნეიტრალური ცნებებით (როგორიც არის „ინდივიდი," „მსხვერპლი"), რამაც კანონი მოაქცია დე-გენდრული ჩარჩოს ფარგლებში (საბედაშვილი, 2011:245).

2006 წლის კანონის მსგავსად, 2009 და 2013 წლების ცლილებებიც თავსდება დე-გენდერული ჩარჩოს ფარგლებში და პოლიტიკის ჩარჩოების ანალიზის მიხედვით, წლებს შორის განსხვავება არ არის. 2009 წლის, ისევე როგორც 2013 წლის ცვლილებები მთლიანად ტექნიკური ხასიათის იყო.

მაგალითად, 2009 წლის კანონში ტერმინი „ბავშვი" ჩანაცვლდა ტერმინით „არასრულწლოვანი". 2013 წლის კანონში ძირითადი დამატებები ეხება პასუხისმგებლობების ცვლილებასა და გადანაწილებას, რომელიც გულისხმობს, რომ პრეზიდენტის ნაცვლად საქართველოს მთავრობას მიენიჭა დამატებითი როლი. კერძოდ კი,

მთავრობა ვალდებულია დაამტკიცოს საუწყებათაშორისო საბჭოს შემადგენლობა და საქმიანობა. ასევე მთავრობა ადგენს მსხვერპლის იდენტიფიცირებისა და სტატუსის განსაზღვრის წესს.[10]

აქვე აღსანიშნავია, რომ 2013 წელს ინიცირებულია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ კანონში შესატანი დამატებითი ცვლილებები. ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის მიერ ინიცირებული ცვლილებები ეხება თვითმმართველობის ორგანიზაციების აქტიურ ჩართვას ოჯახში ძალადობის პრობლემის მოგვარების პროცესში. ხოლო, საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის ცვლილებები, ძირითადად, მიმართულია კანონის სამართლებრივ დახვეწაზე და განსაზღვრავს პასუხისმგებელი პირებისა და აქტორების როლებს. ინიცირებული ცვლილებებიც გენდერულად ნეიტრალურ ტერმინებში არის წარმოდგენილი და ისევე როგორც შეტანილი ცვლილებები, დეგენდერულ ჩარჩოში თავსდება.

რაც შეეხება ინიცირებული ცვლილებების საპარლამენტო განხილვებს, აქ არ ხდებოდა პრობლემაზე სიღრმისეული მსჯელობა და აქცენტი ძირითადად მექანიზმების დახვეწა-გაუმჯობესებაზე კეთდებოდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ კანონში 2009 წელს შესატანი ცვლილებების განიხილვისას, პარლამენტში ხაზი გაესვა კანონის პირველად ვარიანტში არსებულ ხარვეზებს, რითაც სახელმწიფომ ვერ შეძლო ეფექტურად ებრძოლა ოჯახში ძალადობის პრობლემასთან და რის გამოც გახდა საჭირო აღნიშნული ცვლილებების შემუშავება. სახელმწიფო პოლიტიკის ამგვარად გაკრიტიკება **სუსტი სახელმწიფოს ჩარჩოზე** მიუთითებს.

ცვლილებების შეტანის საჭიროებებზე მსჯელობისას, საუბარია საზოგადოებაში არსებულ კონკრეტულ დისკურსებსა და ნორმებზეც. ხაზგასმულია, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევაში შესაბამისი ორგანოებისთვის მიმართვა პრობლემატურია საზოგადოების დიდი

10 „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 2013, მუხლი 1, პუნქტი 2

ნაწილისთვის და ეს თემა მაინც დახურულია. ტექსტის მიხედვით, ცვლილებები აუცილებელია „რათა მსხვერპლისთვის უფრო ადვილი გახდეს მორალურად ამ ნაბიჯის გადადგმა“ (2009წ, პირველი მოსმენა, კერვალიშვილი). აღნიშნული მომენტი **სოციალური ნორმების ჩარ-ჩოს** შეესაბამება.

მიუხედავად, გამოვლენილი ცალკეული ჩარჩოებისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ცვლილებების დინამიკაშიც დე-გენდერული ჩარჩო რჩება ფოკუსში. არსად არ ჩანს, რომ პრობლემის ძირითადი მი-ზეზი არის გენდერული უთანასწორობა. ის მექანიზმები, რაც მუშა-ვდება და რაზეც მიდის მსჯელობა, მიმართულია უკვე არსებული პრობლემის მოგვარებისკენ, ან კონკრეტული ძალადობის ფაქტების აღმოფხვრისკენ და არა პრობლემის მიზეზის ძიებისკენ. როგორც ზევით აღინიშნა, ერთადერთი შემთხვევა, როდესაც გამოიკვეთა ქალზე ცენტირირებული ჩარჩო, იყო სუბიექტური ტიპის დოკუმენტში და აქტორი, რომლის პერსპექტივაც აღნიშნულ ჩარჩოში მოთავსდა, იყო - ქალი. თუმცა ეს იყო კანონში შესატანი ცვლილებების საპარლამენტო განხილვა და ცვლილების დამტკიცების შემდეგ, აღნიშნული ჩარჩო კანონში აღარ გამოჩნდა. იგივე შეიძლება ითქვას სოციალური ნორ-მების ჩარჩოზეც, რომელიც ერთადერთია გამოვლენილ ჩარჩოებში, რომელიც პრობლემას ეძებს საზოგადოებაში არსებულ დისკურსებში. ეს ჩარჩოც მხოლოდ ერთხელ გამოვლინდა, 2009 წლის ცვლილებების განხილვისას, აქტორი ამ შემთხვევაშიც იყო ქალი, თუმცა ცვლილების დამტკიცებს შემდეგ, არც სოციალური ნორმების ჩარჩო ჩანს კანონში.

3. გენდერული თანასწორობის კანონის ანალიზი

ვინაიდან გენდერული თანასწორობა პირდაპირ კავშირშია ოჯახში ძალადობასთან, სრული სურათის დასანახად, კვლევის ფარგლებში შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით გაანალიზდა გენდერული თანასწორობის კონცეფცია, საქართველოს გენდერული თანასწორობის კანონის სამუშაო ვერსია, დამტკიცებული კანონი და სამოქმედო გეგმები გენდერული თანასწორობის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტებში აქცენტი გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრაზეა გაკეთებული. დისკრიმინაცია თავისთავად მოიცავს ძალადობასაც, თუმცა არც კანონსა და არც სამოქმედო გეგმებში გენდერული ნიშნით ძალადობაზე ექსპლიციტურად ყურადღება ფაქტობრივად არ არის გამახვილებული; ანუ კანონში გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ასპექტები არ არის გათვალისწინებული, მხოლოდ 2014-16 წლების სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია ერთადერთი აქტივობა, რომელიც გულისხმობს ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისთვის ეფექტური სამართლებრივი მექანიზმების შემუშავებას, რაც ოჯახში ძალადობის კანონის მსგავსად, კონკრეტული ფაქტების აღმოფხვრისკენ არის მიმართული და არა პრობლემასთან სიღრმისეულად ბრძოლისაკენ.

ოჯახში ძალადობის კანონის მსგავსად, გენდრული თანასწორობის კანონში პრობლემა არ არის წარმოდგენილი როგორც საზოგადოებაში არსებული სტრუქტურული უთანასწორობა და ქალი არ განიხილება, როგორც სუბორდინირებული. თუმცა, მეორეს მხრივ, სამოქმედო გეგმებში ჩადებულია ქალთა გაძლიერებისკენ მიმართული აქტივობები, განსხვავებით ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კანონის სამოქმედო გეგმებისგან.

მაგალითად, ქალები ნაკლებად არიან ჩართულები სამშვიდობო, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გარემოს დაცვის საკითხებში, ნაკლებად არიან წარმოდგენილნი პოლიტიკაში და თვითმმართველობის ორგანოებში. გეგმის მიხედვით, ზემოთ აღნიშნული წარმოადგენს პრობლემას და საჭიროებს მოგვარებას.

> პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით, პოლიტიკური პარტიების პროგრამებში გენდერული ასპექტების გათვალისწინებისათვის სათანადო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა (გენდერული თანასწორობის გეგმა 2011-2013წწ. 5.2.1)

ამგვარი მიდგომა შესაძლებლობას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ გენდერული თანასწორობის გეგმაში, გვხვდება **ქალზე ცენტრირებული** ჩარჩოც.

არსებული გენდერული უთანასწორობის პრობლემის მიზეზად მოიაზრება ის ღირებულებები და გენდერული წარმოდგენებიც, რომლებიც საზოგადოებაში არის გავრცელებული:

> ქალთა, მამაკაცთა და ახალგაზრდების სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისკენ (განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები, დევნილი და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისკენ) მიმართული ტრენინგების/სემინარების/კონფერენციების/აქციების გამართვა შემდეგ საკითხებზე:
>
> > გენდერული სტერეოტიპები და გენდერული დისკრიმინაცია (მათ შორის, კულტურულ/ტრადიციულ საფუძველზე) (გენდერული თანასწორობის გეგმა 2011-2013წწ. 2.3.3).

როდესაც ქალთა გაძლიერებაზე არის საუბარი, წარმოდგენილია განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებიც, როგორიც არის, იძულებით გადაადგილებული, სოფლად მცხოვრები და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებიც, მაშინ როდესაც, ოჯახში ძალადობის

წინააღმდეგ მიმართული კანონის სამოქმედო გეგმებში, მოწყვლად ჯგუფებზე გათვლილი აქტივობები წარმოდგენილია გენდერის დაკონ-კრეტების გარეშე:

> სპეციალური პროგრამების შექმნა ადგილობრივ დონეზე ლიდერ (მათ შორის, სოფლად მცხოვრებ და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ) ქალთა გამოვლენისა და მათი უნარებისა და შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით (გენდერული თანასწორობის გეგმა 2011-2013წწ. 5.2.3)

ანალიზის შედეგად, კანონში გამოიკვეთა **საერთაშორისო ვალდებულებების ჩარჩოც**, რომელიც გულისხმობს, რომ პრობლემის გადაწყვეტის გზები განსაზღვრულია საერთაშორისო ვალდებულებებთან შესაბამისობაში. კანონში პირდაპირ მითითებულია, რომ პირველ რიგში, ის ემყარება საერთაშორისო ხელშეკრულებებს და გენდერული თანასწორობის საბჭო ვალდებულია პარლამენტს წარუდგინოს ანგარიშები საერთაშორისო ვალდებულებებთან მიმართებაში.

> საქართველოს კანონმდებლობა გენდერული თანასწორობის შესახებ ემყარება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, ამ კანონსა და სხვა ნორმატიულ აქტებს (თავი 2, მუხლი 4, 3).

ერთის მხრივ, თუ ოჯახში ძალადობა გენდერული ძალადობაა, ხოლო, მეორეს მხრივ, კანონის თანახმად გენდერული თანასწორობა დაცული უნდა იყოს ოჯახებში, სავარაუდოა, რომ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ კანონსა და გენდერული თანასწორობის კანონს შორის გარკვეული ურთიერთკვეთა უნდა იყოს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ გენდერული თანასწორობის კანონში, საუბარია ოჯახში თანაბარი პასუხისმგებლობების აღებაზე, სამოქმედო გეგმაში არ არის განხილული ოჯახში თანაბარუფლებიანობასთან დაკავშირებული საკითხები. ხოლო ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კანონის მიხედვით, პრობლემა არ განიხილება როგორც გენდერული ძალადობა

და არ მიიჩნევა საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის შედეგად (დე-გენდერული ჩარჩო). რამდენადაც სახელმწიფოს აქვს კანონები, რომელიც ამ ორივე სფეროს არეგულირებს, ეს მიუთითებს იმაზე, რომ ორივე პრობლემის აღიარება ხდება სახელმწიფოს მიერ. გენდერული უთანასწორობა, ისევე როგორც ოჯახში ძალადობა, აღიარებულია პრობლემად, თუმცა, ამ უკანასკნელის გენდერულ უთანასწორობასთან დაკავშირება არ ხდება.

დასკვნა

კანონის ანალიზმა აჩვენა, რომ მიუხედავად ერთეულ შემთხვევებში გამოვლენილი სხვა ჩარჩოებისა, სახელმწიფოს ხედვა ოჯახში ძალადობასთან მიმართებაში, ძირითადად დე-გენდერულ ჩარჩოში თავსდება. ეს ნიშნავს, რომ კანონის მიხედვით, ძალადობა არ განიხილება გენდერული თანასწორობის ცნებებში — ეს არის კონსტიტუციით გაწერილი უფლებების შელახვა და არა საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის პრობლემა. ნებისმიერი ინდივიდი, მიუხედავად გენდერული ნიშნისა, შეიძლება იყოს მსხვერპლი და ნებისმიერი — მოძალადე. ასევე, განიხილება რომ ძალადობის მიმართ განსაკუთრებით მოწყვლადები არიან გარკვეული სოციალური სტატუსის მქონე პირები, თუმცა ეს ასპექტიც გენდერისგან დამოუკიდებლად არის წარმოდგენილი. სახელმწიფო დოკუმენტებში პრობლემის გადაჭრის გზაც, გენდერულად ნეიტრალურ ტერმინებშია მოცემული. სახელმწიფო პოლიტიკას დე-გენდერულ ჩარჩოში ათავსებს ასევე აქცენტის გაკეთება პრობლემის ცალკეულ გამოვლინებეზე ვიდრე, მის გამომწვევ მიზეზებზე. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ხედვა პრობლემისადმი ძირთადად ორიენტირებულია პრობლემის პრევენციისა და ძალადობის კონკრეტული შემთხვევების გადაჭრისკენ, ვიდრე პრობლემის სიღრმისეული მიზეზების ძიებისკენ, რაც შესაბამისად აისახება სამოქმედო გეგმებშიც.

კვლევაში გამოყენებული მეთოდოლოგიის მიხედვით, სახელმწიფო პოლიტიკის განვითარების დინამიკა პოლიტიკის ჩარჩოების კუთხით უცვლელი რჩება. კანონის მიღებიდან (2006) დღემდე, ძირითადად სახელმწიფო დოკუმენტებში დე-გენდერული ჩარჩო დომინირებს. ხოლო, ცვლილებები და განსახილველი ცვლილებათა პაკეტები არის ძირითადად მექანიზმებისა და რესურსების გაძლიერებასა და კანონის იურიდიული მხარის დახვეწაზე ორიენტირებული.

ის, რომ სახელმწიფო პოლიტიკა თავსდება დე-გენდერულ ჩარჩოში, ნიშნავს, რომ კანონში არ აისახება ევროსაბჭოს კონვენციაში დად-

გენილი ზოგიერთი დებულებება. კერძოდ კი, ის რომ ოჯახში ძალადობა წარმოადგენს გენდერული ძალადობის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმას (ევროსაბჭოს კონვენცია, 2011), და რომ შესაბამისად, ძირითადად ქალები არიან ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ოჯახში ძალადობა რჩება ინდივიდუალური უფლებების დარღვევად, დევიაციური ჯგუფებისა თუ კონკრეტული ოჯახების მახასიათებელ პრობლემად და არა მთელ საზოგადოებაში არსებული გენდერული უთანაწორობის გამოვლინებად, როგორც ეს ევროსაბჭოს კონვენციის მიხედვით არის აღიარებული. უფრო მეტიც, ოჯახში ძალადობის, როგორც გენდერული ძალადობის ცნება არ ფიგურირებს არც გენდერული თანასწორობის კანონსა და სამოქმედო გეგმებში. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფო ოჯახში ძალადობას აღიარებს როგორც პრობლემას, თუმცა არ განიხილავს მას გენდერული უთანასწორობის და შესაბამისად, გენდერული ძალადობის გამოვლინებად და პოლიტიკის შემუშავებისას არ ითვალისწინებს აღნიშნულ ასპექტებს.

როგორ შეიძლება შეფასდეს კანონის ამგვარი ფორმულირება და პრობლემის ამგვარი ხედვა? კრიჟანის მიხედვით (2010), როდესაც კანონი დაწერილია გენდერულად ნეიტრალური ტერმინებით, ეს, ერთი მხრივ, ღიად ტოვებს არეალს „მსხვერპლისა“ და „მოძალადის“ განსაზღვრებისთვის — ყველას შეიძლება შეეხოს პრობლემა, რაც კანონს მეტად მოქნილს ხდის ძალადობის ცალკეული შემთხვევების მოგვარებისთვის; მაგრამ როდესაც ამგვარი ფორმულირებაა, საშიშროება არის იმისა, რომ ოჯახში ძალადობის პრობლემის ძიება მოხდება მხოლოდ ზედაპირულ დონეზე და არა სიღრმისეულად, საზოგადოების სტრუქტურაში. გარდა ამისა, ევროსაბჭოს კონვენციის მიხედვით, ქალებისა და მამაკაცების მდგომარეობებს შორის ბევრი განსხვავება არსებობს, შესაბამისად, გენდერულად ნეიტრალური პოლიტიკა, განსხვავებულ გავლენას მოახდენს ქალებსა და მამაკაცებზე.

კრიჟანისა და პოპას თქმით (2010) ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული

პოლიტიკა გენდერულად ნეიტრალურია. ავტორების აზრით, ეს შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ როდესაც საერთაშორისო ნორმების მორგება/ადაპტაცია ხდება ცალკეული ქვეყნების კონტექსტისთვის, გენდერული სენსიტიურობა მეტ-ნაკლებად იკარგება.ამ შემთხვევაში ავტორები ხაზს უსვამენ, პოლიტიკის იმპლემენტაციის პროცესის მნიშვნელობას- რამდენად გენდერულად სენსიტიურია იმპლემენტაცია? რამდენად ხდება დამოუკიდებელი ფემინისტური ჯგუფებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა იმპლემენტაციისა თუ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

კვლევის შეზღუდვები

არსებული ფინანსური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით კვლევის ფარგლებში ვერ ჩატარდა ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე სხვა დაინტერესებული მხარეების, ყველა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ძირითადი დოკუმენტებისა და კანონის იმპლემენტაციის პროცესის ანალიზი პოლიტიკის ჩარჩოების მეთოდოლოგიის გამოყენებით, რაც გარკვეულწილად შეიძლება ჩაითვალოს კვლევის ლიმიტაციად, რომელიც საჭიროებს შემდგომში ფართო კვლევას იმისთვის, რომ მოხდეს საკითხზე სრული სურათის შექმნა.

რეკომენდაციები:

1. საერთაშორისო დოკუმენტების მიხედვით, ოჯახში ძალადობა არის გენდერული ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმა, სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს პოლიტიკა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ითვალისწინებდეს გენდერული ძალადობის ასპექტებსაც.სახელმწიფო დოკუმენტებში ექსპლიციტურად უნდა იყოს გამოხატული რომ ოჯახში ძალადობის ძირითადი მსხვერპლი არის ქალი და შესაბამისად აქტივობები უნდა იყოს მიმართული ქალთა გაძლიერებაზე.

2. ოჯახში ძალადობის პრობლემის გადასაჭრელად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ოჯახში ძალადობის მიზეზების სიღრმისეული ანალიზი. რამდენადაც, ოჯახში ძალადობის პრობლემა გამომდინარეობს საზოგადოებაში არსებული სტრუქტურული უთანასწორობიდან, უნდა მოხდეს არა მხოლოდ ცალკეული შემთხვევების შესწავლა, არამედ საკითხის საფუძვლიანი ანალიზი. მაგალითად, როგორიცაა კვლევა, თუ რა იწვევს ქალსა და მამაკაცს შორის არსებულ სტრუქტურულ უთანასწორობას საქართველოში.

3. შედეგების მიხედვით, პრობლემის გადაჭრა ხდება ძირითადად მატერიალური ხაზით და აქცენტი არ არის გაკეთებული დისკურსულ ხაზზე. მნიშვნელოვანია რომ სამოქმედო გეგმებში მეტი აქცენტი გაკეთდეს საზოგადოებაში არსებულ გენდერული სტერეოტიპების შეცვლაზე.

4. ერთი მხრივ, გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის კანონებს შორის არ არის ურთიერთკვეთა, ხოლო მეორე მხრივ არც ერთი კანონი გენდერულ ძალადობაზე არ აკეთებს აქცენტს და საკითხს ღიად ტოვებს.შესაბამისად, რეკომენდებულია გენდერული ძალადობის ასპექტების გათვალისწინება აღნიშნულ კანონებში და მათ შორის მჭიდრო კავშირის/კვეთის განსაზღვრა.

გამოყენებული ლიტერატურა:

საქართველოს ნორმატიული აქტების კრებული. 2010. თბილისი

ჩიტაშვილი, მარინე., ჯავახიშვილი, ნინო., არუთინოვა, ლუიზა., წულაძე, ლია. ჩაჩანიძე, სოფო. 2010. *ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში*. თბილისი.

Council of Europe. 12 April, 2012. *Convention on preventing and combating violence against women and domestic violence*.
Available at:http://conventions.coe.int/Treaty/EN/Treaties/HTML/DomesticViolence.htmhttp://conventions.coe.int/Treaty/EN/Treaties/HTML/DomesticViolence.htm

Dombos, Tamas.,Krizsan, Andrea.,Verloo, Mieke.,Zentai, Violetta. 2012. *Critical Frame Analysis: A Comparative Methodology for the 'Quality in Gender+ Equality Policies' (QUING) project.* Center for Policy Studies.

Javakhishvili, Nino., Tsuladze, Lia. 2011. Implementing Domestic Violence Policy in Georgia: Impediments and their causes. Paper presented at the 6th ECPR General Conference, Reykjavik.http://www.ascn.ch/en/Publications/Papers.htmlhttp://www.ascn.ch/en/Publications/Papers.html

Javakhishvili, Nino., Tsuladze, Lia. 2011. Interagency United Efforts to Combat Domestic Violence in Georgia: Local or International Agenda? Report.http://www.ascn.ch/en/research/Completed-Projects.htmlhttp://www.ascn.ch/en/research/Completed-Projects.html

Krizsan, Andrea., Bustelo, Maria., Hadjiyanni Andromachi., and Kamoutsi, Fray. 2007. "Domestic Violence: A Public Matter" in Mieke Verloo ed. *Multiple Meanings of Gender Equality: A Critical Frame Analysis of Gender Policies in Europe*" Budapest, New York: Central European University Press.

Krizsan, Andrea and Popa Raluca. 2010. *Frames in Contestation*: "*International Human Rights Norms and Domestic Violence Policy Debates in Five Countries of Central and Eastern Europe"* Center for Policy Studies. Central European University

Sabedashvili, Tamar. 2011. *The Identification and Regulation of Domestic Violence in Georgia (1991-2006).* Central European University.

The United Nations General Assembly. 1992. *Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women* (CEDAW).
Available at:http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/recommendations/recomm.htmhttp://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/recommendations/recomm.htm

The United Nations General Assembly. 1993. *Declaration on The Elimination of Violence Against Women* (DEVAW).

UNDP, ACT. 2013. *Public Receptions on Gener Equality in Politics and Business.*

UNICEF 2012.*Violence against Children in Georgia Findings from a National Survey on Knowledge, Attitude and Practices.*

United Nations.(1989). Violence against Women in the Family. Available at:http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/recommendations/recomm.htm - recom12http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/recommendations/recomm.htm#recom12

დანართი №1

„კვლევაში გამოყენებული ინსტრუმენტი“

ინსტრუქცია:
იწერება:

- სიტყვა კოდი
- მსჯელობა
- ციტატა

რიცხვი/კოდი/სათაური:

დოკუმენტის სრული სათაური:

ქვეყანა/ადგილი:

საკითხი [კატეგორია, რომლის ქვეშაც ტექსტი უნდა გაანალიზდეს]:

დოკუმენტის თარიღი:

დოკუმენტის ტიპი:

აქტორები და აქტორების გენდერი (თუ შეესაბამება):

მოვლენა/მიზეზი:

აღწერა/დოკუმენტის მოკლე შინაარსი:

ხმა

„მოლაპარაკე ხმა“

მოსაუბრე შეიძლება იყოს პიროვნება ან ინსტიტუცია

პერსპექტივა

პერსპექტივა ობიექტურია თუ სუბიექტური?

ძირითადი ცნებები, კონცეპტები:

საიდან არის აღებული კონცეპტები?

ყველა აქტორის ჩამონათვალი:

წყაროდ გამოყენებული დოკუმენტები:

სხვა მოვლენები

ფორმა (არგუმენტაცია, სტილი, დარწმუნების ტექნიკები, დიქოტომიები, მეტაფორები, კონტრასტები, არავერბალური მინიშნებები)

დიაგნოზი

რა არის მიჩნეული პრობლემად?

რატომ არის ეს მიჩნეული პრობლემად?

რამდენად არის გენდერი ამ პრობლემის ნაწილი?

რა არის პრობლემის მიზეზი? კაუზალობა (რა რისი მიზეზია?)

გენდერის განზომილებები (სოციალური კატეგორიები / იდენტობა / ქცევა / ნორმა და სიმბოლოები / ინსტიტუციები):

თუ არის ნაგულისხმები გენდერი? (ექსპლიციტური/იმპლიციტური)

თუ სოციალური კატეგორიები გენდერს ცნებებში არის წარმოდგენილი, რა არის მათი შინაარსი?

რაზე არის ყურადღება გამახვილებული, როდესაც გენდერის განზომილებებზეა საუბარი?

არის თუ არა განსხვავება იმ სოციალურ კატეგორიებს შორის რომელიც არ არის გენდერული?

ურთიერთკვეთა:

არის თუ არა ტექსტში წარმოდგენილი სხვა სტრუქტურული უთანასწორობები, როგორც დიაგნოზის ნაწილი?

მექანიზმები (რესურსები / ნორმები და ინტერპრეტაციები / ძალადობის ლეგიტიმაცია):

რა მექანიზმები არის გამოყენებული გენდერის პრობლემის ასახსნელად?
ტექსტში პრობლემა წარმოდგენილია მატერიალური ხაზით (რესურსებით), დისკურსული ხაზით (ნორმებითა და ინტერპრეტაციით) თუ ძალადობის ლეგიტიმაციის გამოყენებით?
ადგილმდებარეობა (შრომის გადანაწილება/ორგანიზება / ინტიმურობა / მოქალაქეობა):
საზოგადოების რომელ სფეროში არის პრობლემა მოთავსებული?
როლების მინიჭება დიაგნოზის ნაწილში:
ვინ არის პრობლემის გამომწვევი მიზეზი?
ვინ არის მოძალადე?
ვინ არის მსხვერპლი?
ნორმატიულობა:
თუ სახეზეა პრობლემური ჯგუფი, რა არის მიჩნეული ნორმად?
„არა-პრობლემების“ ლეგიტიმაცია:
თუ რა არ არის მიჩნეული პრობლემად და რატომ არ არის მიჩნეული პრობლემად?

<u>პროგნოზი</u>

პრობლემის გადასაჭრელადრომელი აქტივობები მიიჩნევა აუცილებლად და რატომ?
თუ არის რომელიმე აქტივობა პრიორიტეტული?
როგორ უნდა მოხდეს მიზნების მიღწევა (სტრატეგია/საშუალებები/ინსტრუმენტები)?
გენდერის განზომილებები (სოციალური კატეგორიები/იდენტობა/ქცევა/ნორმები & სიმბოლოები/ინსტიტუტები):
თუ არის ნაგულისხმები გენდერი? (ექსპლიციტური/იმპლიციტური)
თუ სოციალური კატეგორიები გენდერს ცნებებში არის წარმოდგენილი, რა არის მათი შინაარსი?
რაზე არის ყურადღება გამახვილებული, როდესაც გენდერის განზომილებებზეა საუბარი?
არის თუ არა განსხვავება იმ სოციალურ კატეგორიებს შორის რომელიც არ არის გენდერული?

ურთიერთკვეთა:

არის თუ არა ტექსტში წარმოდგენილი სხვა სტრუქტურული უთანასწორობები პროგნოზის ნაწილი?

მექანიზმები (რესურსები / ნორმები და ინტერპრეტაციები / ძალადობის ლეგიტიმაცია):

რა მექანიზმები არის გამოყენებული გენდერის პრობლემის ასახსნელად?

ტექსტში პრობლემა წარმოდგენილია მატერიალური ხაზით (რესურსებით), დისკურსული ხაზით (ნორმებითა და ინტერპრეტაციით) თუ ძალადობის ლეგიტიმაციის გამოყენებით?

ადგილმდებარეობა (შრომითი გადანაწილება, ორგანიზება/ ინტიმურობა / მოქალაქეობა):

საზოგადოების რომელ სფეროში არის პრობლემა მოთავსებული?

როლების მინიჭება პროგნოზის ნაწილში

გადაჭრის გზები: აქტორები და ნონ-აქტორები (ვინ რა უნდა (არ უნდა) გააკეთოს)

ვისზე აკეთებენ რეაგირებას?

სამიზნე ჯგუფები და მათი გენდერი

ქმედების/აქტივობის შეზღუდვები და (არა) აქტივობის/ქმედების/ უმოქმედობის ლეგიტიმაცია

თუ ქმედებას/აქტივობას ახასიათებს რაიმე შეზღუდვა რა შეიძლება იყოს ეს შეზღუდვები: ფინანსური ლიმიტაცია და სხვა. თუ მოხდება არა ქმედების/ უმოქმედობის ლეგიტიმაცია: პიროვნული საკითხი, სხვა პოლიტიკური აქტორების კომპეტენცია ან რაიმე სხვა.

ნორმატიულობა:

რა არის დანახული როგორც იდეალური/უპირატესი? ინსტიტუციები, კეთების გზები, თუ პიროვნებები?

რა არის დანახული როგორც ცუდი/საზიანო? ინსტიტუციები, კეთების გზები, თუ პიროვნებები?

<u>კომენტარები:</u>

ის საკითხები რაც ვერ ჩაჯდა ვერცერთ კატეგორიაში, თუმცა ჩავთვალეთ მნიშვნელოვნად:

მოკლე ანალიზი დასკვნა:

დანართი №2

„პოლიტიკის ჩარჩოს განსაზღვრის ინდიკატორების ჩამონათვალი“

ძირითადი ჩარჩოები:

ჩარჩო / ინდიკა-ტორი	გენდერული თანასწორობის ჩარჩო	ქალზე ცენტრირებული ჩარჩო	დე-გენდერული ჩარჩო	სუსტი სახელმწიფოს ჩარჩო	სოციალური ნორმების ჩარჩო/ქვე ჯგუფების ჩარჩო
დიაგნოზი					
პრობლემის მიზეზი/ კავშირი გენდრულ უთანასწო-რობასთან	ოჯახში ძალადობა არის საზოგადოების სტრუქტურაში არსებული გენდრული უთანასწორობის შედეგი	ოჯახში ძალადობა ადამიანის უფლებების დარღვევაა; პრობლემა ინდივიდუალრ დონეზეა - ქალსა და მამაკაცს შორის	ოჯახში ძალადობა არის ადამიანის უფლებების დარღვევის საკითხი	სახელმწიფოს სუსტი პოლიტიკა, სახელმწიფო ვერ ახდენს პრობლემასთან გამკლავებას	საზოგადოებაში გავრცელებული სოციალური ნორმები და ღირებულებები
ვინ არის მსხვერპლი	ოჯახის ნებისმიერი წევრი; უმეტესწილად ქალები	ქალები; ქალები ბავშვებთან ერთად	ოჯახის ნებისმიერი წევრი		პრობლემისადმი განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფები
პროგნოზი					
პრობლემის გადაწყვეტის გზები/ აქტივობები	გასატარებელი ზომები/აქტივობები: მოძალადეთა დასჯა/სანქცირება; მსხვერპლთა დაცვა; პრევენცია; სახელმწიფოს პასუხისმგებლობა არასამთავრობო სექტორთან ერთად				

სპეციფიკური აქტივობები	საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა; ქალთა გაძლიერება; ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ავტონომიური ორგანიზაციების გაძლიერება	ქალთა დაცვა და მხარდაჭერა, თავშესაფრების შექმნით და ეკონომიკური და ფსიქოლოგიური დახმარების გზით (მაგრამ არა ქალთა გაძლიერების მექანიზმებით); ცნობიერების ამაღლება და განათლება ოჯახში ძალადობაზე, როგორც სოციალურ პრობლემაზე (გენდერულ თანასწორობაზე აქცენტის გარეშე);	სტეიკჰოლდერთა კომპლექსური და კოორდინირებული მიდგომა; ინსტიტუციონალური ჩარჩოს და თანამშრომლობის გაუმჯობესება; მსხვერპლთა დაცვა და მხარდაჭერა; პრობლემის პრევენცია და სანქცირება ინდივიდუალური უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების და განათლების გზით; შემაკავებელი ორდერების შემოღება;	ინსტიტუციონალური ჩარჩოს გაუმჯობესება, სტეიკჰოლდერების კოორდინაციისა და კომუნიკაციის ეფექტურობის გაზრდით; პრობლემის გაგების გაუმჯობესება ტრენინგების, განათლების და ცნობიერების ამაღლების გზით (გენდერულ თანასწორობაზე აქცენტის გარეშე)	მთავარი აქცენტი არის ამ ნორმების შეცვლაზე. გავრცელებული ტაბუების ახსნა, უმცირესობაში მყოფი ქალების გაძლიერება, ნულოვანი ტოლერანტობის გავრცელება კულტურულად სპეციფიკური ძალადობის მიმართ და ა.შ.
სამიზნე ჯგუფი	საზოგადოება	ქალი	ინდივიდი, ვისი უფლებაც შეილახა		უმცირესობების და კონკრეტული/ სპეციფიკური სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები

მეორადი ჩარჩოები:

ჩარჩო / ინდიკა-ტორი	კონფიდენციალურობის ჩარჩო	მსხვერპლი მამაკაცების ჩარჩო	ოჯახის ჩარჩო	საერთაშორისო ვალდებულებების ჩარჩო	საზოგადოებრივი ჯანდაცვის ჩარჩო
დიაგნოზი					
პრობლემის მიზეზი/ კავშირი გენდრულ უთანასწორობასთან	ოჯახში ძალადობა არის ორი ადამიანის პირადი პრობლემა; მიზეზებზე საუბარი არ არის	აქცენტიმთლიანად გადატანილია მამაკაცებზე, რომლებიც გახდნენ ოჯახში ძალადობის მსხვერპლები. მიზეზი:1)სქეს–სპეციფიკური ძალადობის ჩარჩო იცვლება და მოძალადედ გვევლინება ქალი, ხოლო მსხვერპლად მამაკაცი;2)ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული სანქციები ასუსტებს მამაკაცებს და ართმევს მათ მნიშვნელოვან უფლებებს	ძალადობა არის ოჯახის პირადი სფეროს და პრობლემის გადაჭრაც ოჯახშივე უნდა ხდებოდეს. მთავარ მიზეზად განიხილება ოჯახი და სოციალური ღირებულებები.	საკითხს განიხილავს მხოლოდ საერთშორისო ნორმების, სტანდარტების და მოთხოვნების შესაბამისად.	ოჯახში ძალადობა არის არა ადამიანის უფლებების საკითხი, არამედ ჯანდაცვის საკითხი. ამდაგვარი ინტერპრეტაცია მთლიანად მოკლებულია გენდერულ სენსიტიურობას.
ვინ არის მსხვერპლი	ოჯახის ნებისმიერი წევრი;	მამაკაცი	ოჯახის ნებისმიერი წევრი	ოჯახის ნებისმიერი წევრი	ოჯახის ნებისმიერი წევრი

პროგნოზი					
პრობლემის გადაწყვეტის გზები/ აქტივობები	გასატარებელი ზომები/აქტივობები: მოძალადეთადასჯა/სანქცირება; მსხვერპლთა დაცვა; პრევენცია; სახელმწიფოს პასუხისმგებლობა არასამთავრობო სექტორთან ერთად				
სპეციფიკური აქტივობები	ეს არ არის საკითხი, რომელიც სახელმწიფოს დონეზე უნდა გადაწყდეს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მაინც მოხდება სახელმწიფოს ჩარევა, ის არ იქნება ისეთივე დონეზე, როგორც ძალადობის სხვა ფორმების შემთხვევაში.	პრობლემის გადაჭრის უფრო „რბილი“ გზები, როგორიცაა თერაპია სანქციების ნაცვლად; მედიაცია ოჯახში, ნაცვლად განცალკევებისა.	ოჯახი განიხილება როგორც მთავარი ერთეული საზოგადოებაში, შესაბამისად, თუკი ხდება გარედან ჩარევა, ეს უნდა მოხდეს ფრთხილად და ისე, რომ ოჯახის მთლიანობის ხელშეწყობა მოხდეს.	პრობლემის გადაწყვეტის გზები განსაზღვრულია საერთაშორისო ვალდებულებებთან შესაბამისობაში.	განსაზღვრულიაქტივობებიძირითადადმოიცავსმსხვერპლთადაცვას დაძალადობისპრევენციას. ესმიზნებიუნდამიიღწესცნობიერებისამაღლებისდაკვლევისგზით. აქცენტიკეთდებამსხვერპლებისჯანმრთელობისმდგომარეობაზე დაარადანაშაულსადაადამიანისუფლებებისდარღვეისასპექტებზე.
სამიზნე ჯგუფი	-	მამაკაცი	ოჯახი, როგორც ერთეული	-	დაზარალებული

ჩარჩო / ინდიკა-ტორი	დევიაციის ჩარჩო	მოძალადის უფლებების ჩარჩო	ბავშვთა უფლებების ჩარჩო
დიაგნოზი			
პრობლემის მიზეზი/ კავშირი გენდრულ უთანასწორობასთან	ოჯახში ძალადობა არ არის უნივერსალური პრობლემა არამედ დამახასიათებელია იმ ჯგუფებისთვის რომელნიც არიან სოციალურად მოწყვლადები, მაგალითად ნარკომანიის, ალკოჰოლიზმის, ან მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების მიმართ	რეალური მსხვერპლი ოჯახური ძალადობის დროს არის მოძალადე, რომლის ბაზისური უფლებები როგორიცაა საკუთრების, თავისუფალი გადაადგილების, განმარტოებისა თუ რელიგიური თავისუფლების შეზღუდულია იმის გამო რომ ძალისმიერად ხდება თვიდან აცილება მათი სახლში დაბრუნების.	ოჯახში ძალადობის რეალური მსხვერპლები არიან ბავშვები, ხოლო ქალები უნდა იყვნენ დაცულები ძალადობისგან, არა იმიტომ რომ მათი, როგორც ქალთა უფლებები ირღვევა, არამედ იმისთვის, რათა უკეთესად შეძლონ მსხვერპლი ბავშვების დაცვა
ვინ არის მსხვერპლი	ოჯახის ნებისმიერი წევრი	ოჯახის ნებისმიერი წევრი	ბავშვი
პროგნოზი			
პრობლემის გადაწყვეტის გზები/ აქტივობები	გასატარებელი ზომები/აქტივობები: მოძალადეთა დასჯა/სანქცირება; მსხვერპლთა დაცვა; პრევენცია; სახელმწიფოს პასუხისმგებლობა არასამთავრობო სექტორთან ერთად		

სპეციფიკური აქტივობები	ოჯახში ძალადობის პრობლემის გადაწყვეტას უკავშირებენ იმ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია სოციალური მარგინალობის ამ პროცესების გადაჯრისკენ.	მოძალადის უფლებებზე მეტი აქცენტი; მსხვერპლის დაცვა ოჯახში ძალადობისგან, მაშინაც კი თუკი საქმე გვაქვს მძიმე შემთხვევებთან, რომელმაც შეიძლება სიცოცხლის უფლებას შეუქმნას საფრთხე, განიხილება კლასიკური ლიბერალური უფლებებისთვის მეორად პრიორიტეტად.	ბავშვთა დაცვის მექანიზმებზე მეტი აქცენტი
სამიზნე ჯგუფი	მარგინალური, ან დევიანტური სუბ-ჯგუფები	მოძალადე	ბავშვი

ქალთა ფონდი საქართველოში
WOMENS'S FUND IN GEORGIA